ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

№275 (12 345) **24** ნოემბერი შაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვალ, სამხრეთ აფრიკაში. 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის წილისყრა

გზა მუნდიალისკენ

ლიტვამ მეოთხე კალათაში ჩვენი ადგილი დაიკავა

I კალათა: იტალია, ესპანეთი, გერმანია, ჩეხეთი, საფრანგეთი, პორტუგალია, ჰოლანდია, ხორვატია, საბერძნეთი
II კალათა: ინგლისი, რუმინეთი, შოტლანდია, თურქეთი, ბულგარეთი, რუსეთი, პოლონეთი, შვედეთი, ისრაელი
III კალათა: ნორვეგია, უკრაინა, სერბეთი, დანია, ჩრდ. ირლანდია, ირლანდია, ფინეთი, შვეიცარია, ბელგია
IV კალათა: სლოვაკეთი, ბოსნია, უნგრეთი, მოლდოვა, უელსი, მაკედონია, ბელარუსი, ლიტვა, კვიპროსი
V კალათა: საქართველო, ალბანეთი, სლოვენია, ლატვია, ისლანდია, სომხეთი, ავსტრია, ყაზახეთი, აზერბაიჯანი
VI კალათა: ლიხტენშტაინი, ესტონეთი, მალტა, ლუქსემბურგი, ჩერნოგორია, ანდორა, ფარერები, სან მარინო

ლიტვამ თბილისში მოგებით მეხუთე კალათაში გადაგვნია

ქვემოთ: დურბანის სანაპირო

ხვალ დურბანში თბილისის დროით საღამოს 7 საათზე მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირის წილისყრა გაიმართება. ჩვენი მეტოქეების გარკვევის მერე ასე თუ ისე გამოჩნდება რისი იმედი უნდა გვქონდეს მომავალ ორ წელინადში. მანამდე კი...

ლიტვასთან განცდილმა მარცხმა ფიფას რეიტინგში 6 საფეხურით უკან დაგვწია და ბელარუსთან ერთად ჩვენ მომგებ ლიტვასაც მისცა გადასწრების საშუალება - ლიტველებმა ერთბაშად 29 საფეხურით ზემოთ აინაცვლეს. შედეგად, ხვალ დურბანში მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის წილიყრას არა მეოთხე, არამედ მეხუთე კალათში ვხვდებით.

ოქტომბრის რეიტინგში 71-ე ადგილზე ვიყავით, ევროპულ გუნდებს შორის კი 35-ეზე. გუშინ გამოქვეყნებულ რეიტინგში კი 77-ე ადგილზე ვართ, ევროპელებს შორის - 37-ეზე. იქიდან გამომდინარე, რომ წილისყრისას თითო კალათაში 9 გუნდია, მეოთხე კალათში მოსახვედრად ერთი ნაბიჯი დაგვაკლდა. სიმართლე ითქვას, დიდი ხვითოები არც მეოთხე ჯგუფში არიან, განსხვავება მეოთხე და მეხუთე კალათის გუნდებს შორის არც ისე დიდია, როგორც ეს შეიძლება ერთი შეხედვით ჩანდეს.

წილიყრის ცერემონიალის ხილვა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით შეგეძლებათ.

ევროპა მუნდიალზე 13 ნაკრებს გაიყვანს. ისინი შემდეგნაირად გამოვლინდებიან: წილისყრის შემდეგ შეიქმნება 9 საკვალიფიკაციო ჯგუფი. აქედან, 8-ში 6-6 გუნდი განთავსდება, ერთში კი 5. ამ 9 ჯგუფიდან თითო გამარჯვებული ავტომატურად გადის ფინალურ ეტაპზე, 8 საუკეთესო მეორეადგილოსანი კი პლეიოფის სისტემით გაითამაშებს კიდევ ოთხ საგზურს. ესეც 13. ანუ, ეს იმას ნიშნავს, რომ 9 ჯგუფიდან ერთ-ერთი მეორეადგილოსანი (ყველაზე უარესი მაჩვენებლით) პლეიოფშიც ვერ მოხვდება.

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. XII ტური. წინათქმა

როგორც იქნა, განახლდება!

საგანგებო მდგომარეობისა და საბაკრებო დღეების შემდეგ, ეროვნული ჩემპიონატი თითქმის ერთთვიანი შესვენების შემდეგ გაგრძელდება. გამორჩეული დაპირისპირება არსადაა, მაგრამ ცხრილში საგრძნობი ცვლილებები მაინც მოსალოდნელია. საინტერესოა ლიდერთა შეხვედრები და გორული დერბი. შეგახსენებთ, გადადებული XI ტური, სადაც "დინამო"-"ზესტაფონია" დანიშნული, 5-6 დეკემბრისთვის გადაიტანეს.

14:00 მგლები-ვიტ ჯორჯია

24 ნოემბერი. ზუგდიდი. თუთაბერიძე

საპარაულო შემადგენლობები

მგლები: ივარდავა, გაბედავა, ფარულავა, მაჭავარიანი, კაკაბაძე, ქირია, ვართაგავა, ჯოჯუა, ხუბუა, ბაკარანძე, ჭედია

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე, გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, კლიმიაშვილი, სახოკია, გელაშვილი, ბეჭვაია

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

ტურის ერთ-ერთი გამორჩეული მატჩია. ამ გუნდების ბოლო ოფიციალური მატჩებიდან საკმაო ხანი გავიდა, უმაღლესი ლიგის სხვა ბინადართა სადღეისო ფორმის შეფასებაც რთულია, ზუგდიდში კი ყველა შემთხვევაში დაძაბული და უშეღავათო ბრძოლა უნდა გაიმართოს, რომელშიც ნებისმიერი შედეგი მოსალოდნელი იქნება.

14:00 ოლიმპი-მერანი

24 ნოემბერი. რუსთავი. ფოლადი

საპარაულო შემადგენლობები

ოლიმპი: მერლანი, ორბელაძე, აკუასაგა, სილაგაძე, მახვილაძე, ნავალოვსკი, ქებაძე, დევდარიანი, დვალიშვილი, კახელიშვილი, რ. ჯიქია

მერანი: თევდორაძე, გიგაური, თ. კობიაშვილი, სარალიძე, ა. კალაძე, ლომაშვილი, ჯანგიძე, ტყეშელაშვილი, ბურჯანაძე, ზ. ავალიანი, გოჩაშვილი

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

შესვენებისას "მერანი" ამხანაგურ შეხვედრებში "დინამოსა" და "ამერს" დაუზავდა. ტესტ-მატჩებში ნაჩვენები შედეგები შორსმიმავალი დასკვნების გაკეთების საშუალებას არ იძლევა, მაგრამ წესით, თბილისური გუნდი ურიგო ფორმაში არ უნდა იყოს. "მერანი" ამ თამაშში უშაანსოდ ნამდვილად არ იქნება, ფავორიტად კი მაინც "ოლიმპი" უნდა მივიჩნიოთ.

14:00 სიონი-ბორჯომი

24 ნოემბერი. ბოლნისი. თ. სტეფანია

საპარაულო შემადგენლობები

სიონი: სტურუა, ქურასბედიანი, სვანიძე, ბოიომო, რაქვიაშვილი, კვიტაიშვილი, ბაჯელიძე, ნადირაძე, სანიკიძე, ჩასემი, ქარდავა

ბორჯომი: შეყრილაძე, თ. ღონღაძე, ლ. მერებაშვილი, ლ. ჭელიძე, აკობია, ბაბუნაშვილი, ნერგაძე, გრიგალაშვილი, თედიაშვილი, შ. ჯიქია, ყველაშვილი

დისკვალიფიკაცია: შემარნიშვილი, კ. ხანიშვილი

არბიტრი: მ. ურუშაძე

"სიონი" უმაღლეს ლიგაში დასარჩენად იბრძვის და დღევანდელ დაპირისპირებაში გამარჯვება ჰაერივით სჭირდება. ბოლნისელებმა ამ სეზონში შინ არაერთი მნიშვნელოვანი ქულა მოიპოვეს და სატურნირო მარაგის შევსებას დღესაც აპირებენ. "ბორჯომს" მოკლე სათადარიგოთა სკამი აქვს და შესაბამისად, სტუმართათვის ორი დისკვალიფიცირებული მნიშვნელოვანი დანაკლისია. ამის მიუხედავად, ცხადია, წარმატების შანსი **ხარიძის** გუნდსაც გააჩნია.

14:00 დილა-სპარტაკი

24 ნოემბერი. ბორი. თ. ბურჯანაძე.

საპარაულო შემადგენლობები

დილა: ილურიძე, დ. ხანიშვილი, ლაცაბიძე, ბალიაშვილი, ბალაშვილი, ტლაშაძე, მასურაშვილი, შატაკიშვილი, სულთანიშვილი, სამადაშვილი, ბ. ჩიტაია

სპარტაკი: ქვილითაია, კეტაშვილი, ხაჭიპერაძე, ქემოკლიძე, მამუკაშვილი, ჩირიკაშვილი, თარხნიშვილი, პარამონოვი, კუპრეიშვილი, გოგოხია, ხიდეშელი

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

ერთმანეთს გორული და ცხინვალური კლუბები კი დაუპირისპირდებიან, მაგრამ ფაქტობრივად, ეს გორული დერბია. ასეთი დაპირისპირება კი ნებისმიერ ქალაქში გამორჩეული მოვლენაა. "ბურჯანაძეზე" ბევრი ქომაგი ნამდვილად არ დადის, მაგრამ "დილა"-"სპარტაკი" გარკვეულ ინტერესს მაინც გამოიწვევს. შეგახსენებთ, "დილას" მთავარ მწვრთნელად ორიოდ დღის წინათ **ზურაბ ხორგუაშვილი** დაინიშნა.

14:00 ზესტაფონი-ბათუმი

25 ნოემბერი. ზესტაფონი. ცენტრალური

საპარაულო შემადგენლობები

ზესტაფონი: ჭანტურია, ს. თოდუა, შ. ღონღაძე, ლობჟანიძე, კ. ჩხეტიანი, ჟონატასი, კესანი, რ. ონიანი, გ. ნუგ. ჭელიძე, ფიფია, გ. ნოდ. ჭელიძე

ბათუმი: თოთლაძე, თედორაძე, გალოგრე, დემურაძე, კ. მახარაძე, კუნჭულია, ზ. ჭელიძე, ცანავა, დარჩიძე, ბეჟანიძე, მოდებაძე

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

წესით, "ზესტაფონს" ხვალ სამი ქულის აღება და ერთპიროვნული ლიდერობის შენარჩუნება არ უნდა გაუჭირდეს. ფეროელებს ამ სეზონში დასანანი ქულები ჯერ არ დაუკარგავთ და ვნახოთ, სადამდე გასტანს მათი სტაბილურობა.

14:00 ლოკომოტივი-დინამო

25 ნოემბერი. თბილისი. მ. მესხი.

საპარაულო შემადგენლობები

ლოკომოტივი: გვარამაძე, ლაღაძე, გ. კვახაძე, დ. ფოფხაძე, ხოხონიშვილი, გულორდავა, მალიჩავა, ტიკურიშვილი, სამხარაძე, გ. მიქაძე, ბარბაქაძე

დისკვალიფიკაცია: ალავერდაშვილი

დინამო: ოვონო, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, დობეში, ხმალაძე, დიღმელაშვილი, გ. მერებაშვილი, სპასოვიჩი, ხუციშვილი, აკირემი

არბიტრი: ლ. სილაგავა

ამ წყვილსაც გამოკვეთილი ფავორიტი ჰყავს. "დინამოს" პირველი წრის მოსაგებად, "ზესტაფონის" ძლევასთან ერთად, აუტსაიდერთა დამარცხებაც სჭირდება. საინტერესოა, შეძლებს თუ არა "ლოკომოტივი" დინამოელთათვის წინააღმდეგობის გაწევას, ის კი უნდა ითქვას, რომ პირველ ტურში "ამერთან" მოგების შემდეგ, რკინიგზელებს ძლიერ გუნდებთან აღარაფერი გამოსვლიათ.

14:00 მესხეთი-ამერი

25 ნოემბერი. ახალციხე. მ. იაძე

საპარაულო შემადგენლობები

მესხეთი: სომხიშვილი, ვ. აკოფიანი, ჟვანია, კობესაშვილი, ლეკიშვილი, თურმანიძე, ძამსაშვილი, ზ. ჩხეტიანი, გვირჯიშვილი, კაიდარაშვილი

ამერი: ქვაჩახია, დიდავა, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე, დოლიძე, ბოლქვაძე, დობროვოლსკი, დეკანოსიძე, ტატანაშვილი, რ. გოცირიძე

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

სხვებთან შედარებით, ეს შეხვედრაც გამოსარჩევია. ახალციხეში თამაში ყველას უჭირს, "ამერს" კი ქულების დაკარგვის ფუფუნება ნამდვილად აღარ აქვს. შეგახსენებთ, თასის ჯგუფურ ეტაპზე გლდანელებმა "მესხეთს" სტუმრად 2:1 სძლიეს.

ლევან ჯანეზაშვილი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ზესტაფონი	10	9	1	0	20:3	28
2. დინამო	10	9	0	1	26:3	27
3. ვიტ ჯორჯია	10	7	1	2	16:8	22
4. ამერი	10	6	0	4	18:10	18
5. ბორჯომი	10	5	3	2	12:6	18
6. მესხეთი	10	5	2	3	12:11	17
7. ოლიმპი	10	5	2	3	9:8	17
8. მგლები	10	5	0	5	10:9	15
9. სიონი	10	3	2	5	12:14	11
10. ლოკომოტივი	10	3	0	7	7:16	9
11. სპარტაკი	10	2	2	6	3:12	8
12. მერანი	10	2	0	8	5:20	6
13. დილა	10	1	2	7	7:18	5
14. ბათუმი	10	0	1	9	3:22	1

მსოფლიოს თოთხმეტი ტყუპი

ფიფას ოფიციალურმა გამოცემა FIFA Magazine-მა გამოაქვეყნა ის თოთხმეტი ტყუპი, რომელთაც ერთ ან რამდენიმე გუდში ერთად უთამაშიათ. პროფესიულ დონეზე ერთ გუნდში მოთამაშე ტყუპები მართლაც იშვიათობაა და FIFA Magazine-მა ამას საკმაოდ მოზრდილი სტატია მიუძღვნა. თოთხმეტ ტყუპში ქალებიც კი მოხვდნენ - იზაბელ და მონიკა კერაჩოვსკები.

მოკლედ, თუ ფიფას სტატისტიკოსებს ვენდობით, მსოფლიოში მხოლოდ ამ თოთხმეტ წყვილს უთამაშიათ ერთად, მათ შორის **შოთა** და **არჩილ არველაძეებსაც**.

შოთა და არჩილ არველაძე
(საქართველო)
დაბადების წელი: 1973
საერთო კლუბები: დინამო, ტრაბზონსფორი

ჰამიტ და ჰალილ ალტანტოპი
(თურქეთი)
დაბადების წელი: 1982
კლუბები: ვატენშაიდი, შალკე

დამიან და იაგო ბელონი
(შვეიცარია)
დაბადების წელი: 1989
კლუბები: სენტ გალენი, ასტონ ვილა

ფრანკ და რონალდ დე ბური
(ჰოლანდია)
დაბადების წელი: 1970
კლუბები: აიაქსი, ბარსელონა, რეინჯერსი, ალ რაინი

დავიდ და ფილიპ დეგენი
(შვეიცარია)
დაბადების წელი: 1983
კლუბები: ბაზელი

ერვინ და ჰელმუტ კრემერსი
(გერმანია)
დაბადების წელი: 1949
კლუბები: მიონხენგლადბახი, კიკერს ოფენბახი, შალკე

იზაბელ და მონიკა კერაჩოვსკი
(გერმანია)
დაბადების წელი: 1988
კლუბები: ტურბინა პოსტდამი

ხორხე და ხულიო დელი ვალდესი
(პანამა)
დაბადების წელი: 1967
კლუბები: ნასიონალი, დეპორტივო არაბე, უნიდო

რენე და ვილი ვან დე კერხოფი
(ჰოლანდია)
დაბადების წელი: 1951
კლუბები: ტვენტე, პსვ

დენის და ჯერარდ დე ნუიერი
(ჰოლანდია)
დაბადების წელი: 1969
კლუბები: სპარტა, ჰეერენვენი, დორბრეხტი

ანდრეას და თომას რაველი
(შვედეთი)
დაბადების წელი: 1959
კლუბები: ოსტერსი

ჰოსამ და იბრაჰიმ ჰასანი
(ეგვიპტე)
დაბადების წელი: 1966
კლუბები: ალ აჰლი, ქსამაქსი, პაოკი, ზამელეკი

ზორან და ზლატკო ვუიოვიჩი
(იუგოსლავია)
დაბადების წელი: 1958
კლუბები: ჰაიდუკი, კროაცია, ბორდო

მარსინ და მიხალ ქევლაკოვი
(პოლონეთი)
დაბადების წელი: 1976
კლუბები: პოლონია, ბევერენი, მუსკრონი

ამ თოთხმეტეულს ვინძლო მალე ერთი წყვილიც შეემატება. ბრაზილიური „ფლუმინენსეს" ახალგაზრდულ გუნდში 16 ნლის ტყუპები, რაფაელი და ფლავიო თამაშობენ. იქაური მედიის ცნობით, მათ უკვე გააფორმეს წინასწარი კონტრაქტი „მანჩესტერთან", სადაც მაშინ გადავლენ, როცა 18 ნელი შეუსრულდებათ.

დავით თავართქილაძე

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

www.pfl.ge

შეცდომაც შემთხვევითობაა?

არსებობს თუ არა ფეხბურთში შემთხვევითი მარცხი ან შემთხვევითი გამარჯვება? შემთხვევაა მარცხიც, ფრეც და მოგებაც, მაგრამ ყველა ამ შემთხვევას რაღაც-რაღაცეები განაპირობებს - ესა თუ ის შედეგი არ მოდის ჰაერიდან.

ახლა, ისიც ვიკითხოთ, რატომ წააგო საქართველომ შინ ლიტვასთან. თამაშიდან მეორე თუ მესამე დღეს ხომ უფრო ადვილია ცივი გონებით წერა და მსჯელობა.

საქართველოს კარს **გიორგი მაკარიძე** იცავდა. საკამათოა, იყო თუ არა მისი ბრალი პირველი გაშვებული გოლი, მაგრამ ყურდაღება მივაქციოთ იმას, რაც არ არის საკამათო. **აუდრიუს კსანავიჩიუსმა** მაკარიძის კარიდან ოცდახუთიოდე მეტრში, ანუ საჯარიმო მოედნის სიახლოვეს ბურთი ბრძოლაში კი არა, თავისუფლად მოინაგრა, შემოტრიალდა და ისე დაარტყა, რომ მცველთაგან არავინ გაუშალა ფეხი, არავინ შეეცადა, ვარდნაში გადაფარებოდა ბურთს.

არადა, ბევრს ჰგონია, რომ საქართველოს ნაკრებში სათამაშო დისციპლინა მაღალ დონეზეა, მაგრამ როცა მეტოქეს ამდენის საშუალებას აძლევ, ეს არ არის სათამაშო დისციპლინის დარღვევა?

ხშირად ისმის ასეთი კითხვაც - მაკარიძე თუ არა, მაშინ ვინ ჩააყენოს კარში **კლაუს ტოპმიოლერმა**?

17 წლის ფეხბურთელს მაღალ დონეზე რომ უთამაშია, ამის მაგალითები მსოფლიო ფეხბურთში მართლაც არის. მაგრამ აბა, ვინ გაიხსენებს იმას, 17 წლის მეკარეს ოდესმე თუ უთამაშია მაღალ დონეზე?

ასაკი ყველა ფეხბურთელს სჭირდება მაღალ დონეზე სათამაშოდ, მეკარე კი ძალიან სპეციფიური ამპლუაა. ჯერ არ ყოფილა, 17 წლის მეკარეს უმაღლეს დონეზე ეთამაშოს, მაგრამ ტოპის, როგორც ჩანს, რევოლუციის მოხდენა სურს.

კახა კალაძე, მალხაზ ასათიანი და **ზურაბ ხიზანიშვილი** - ტოპმიოლერის განკარგულებაში სამი მაღალი კლასის მცველია, მაგრამ ჰერ კლაუსი ოთხი მცველით ათამაშებს გუნდს, რითაც გუნდის შეტევით რესურსს, ფაქტობრივად, ერთ კაცს აკლებს.

ტოპიმ შინ ლიტვასთანაც ოთხი მცველით დააწყებინა გუნდს თამაში, აქაც ვერ გარისკა სამი მცველის დაყენება. არადა, არ იყო ძნელი იმის გამოცნობა, რომ ლიტვა დაცვით ვარიანტს აირჩევდა და დიდი ძალებით არ შემოგვიტევდა. შესაძლოა, ტოპმიოლერმა იმიტომ ვერ გაბედა სამი მცველით თამაში, რომ ტრავმიანი ხიზანიშვილი არ ჰყავდა.

ნახევარდაცვაზეც ვთქვათ. **ლევან ცქიტიშვილი** ლიტვასთან საყრდენი ნახევარმცველიც იყო და ხშირად გამთამაშებლობასაც ითავსებდა. ცქიტიშვილი არ არის ისეთი მოთამაშე, ვინც დიდი მოცულობის სამუშაოს ასრულებს და გაუგებარია, რატომ ჰკიდებენ მას ზედმეტ ტვირთს.

მივადექით თავდასხმას. ტოპიმ ლიტვასთან შინ ერთი ფორვარდით (!) ათამაშა ჩვენი ნაკრები. **დავით სირაძე** ოთხ მცველში ექცეოდა და ბუნებრივია, ბურთის მიღება ძალიან უჭირდა.

საქართველომ შოტლანდიას 2:0 რომ მოუგო, ორი თავდამსხმელით ითამაშა - სირაძის მეწყვილე **ლევან მჭედლიძე** იყო და ამ ტანდემმა გაამართლა. რაღა საჭირო იყო ამ ტანდემის მორღვევა შესარჩევის მომდევნო შეხვედრაში?

ზოგადად, ფორვარდების რაოდენობას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ ერთი თავდამსხმელით თამაში მაშინ არის გამართლებული, თუ ამ ცენტრფორვარდს ფლანგებიდან სწრაფი, გოლის არანაკლები ალღოს მქონე გარემარბები ეხმარებიან და მის უკან გამწესებულია ისეთი ცენტრალური ნახევარმცველები, გოლის გატანა რომ ეწიფებათ, ანუ თუ გყავს **თემურ ქეცბაია** და **გიორგი ქინქლაძე**, ერთი ფორვარდით თამაში შეტევას ვერ შეგისუსტებს.

სირაძეს კი მარცხნიდან ლევან მჭედლიძე უნდა დახმარებოდა, ვინც ვერ გრძნობდა თავს ლაღად მარცხენა ნახევარმცველის პოზიციაზე, თანაც ის ლიტვასთან მარცხენა ნახევარმცველი უფრო იყო, ვიდრე გარემარბი.

სირაძეს მარჯვნიდან **ზურაბ მენთეშაშვილი** უნდა მიშველებოდა, მაგრამ ფლანგზე მოთამაშე მენთეშაშვილის კოზირი არც სისწრაფეა და არც საგოლე ალღო. ტრავმირებული მენთეშაშვილის ადგილი სწრაფმა და კარზე დაგეშილმა **ოთარ მარცვალაძემ** კი დაიკავა, მაგრამ გაუგებარი დარჩა, რა დავალება ჰქონდა მას მიღებული მწვრთნელისგან.

პრესკონფერენციაზე ტოპმიოლერმა საგოლე მომენტების არგამოყენებაზე კი დაიჩივლა, მაგრამ მისმა შეცდომებმაც რომ განაპირობა მატჩის შედეგი, არც ეს უნდა იყოს საკამათო.

დავით თავართქილაძე

სავარაუდო ტრანსფერები

მჭედლიძე ლივერპულმაც მოიკითხა

კანკავა უკეთეს გუნდში თამაშს იმსახურებს

ლევან მჭედლიძე (99) ლიტვასთან მატჩში

სამშაბათს და ოთხშაბათს, საქართველოს ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრებების მატჩებს ტრანსფერებზე მომუშავე იტალიელებიც ესწრებოდნენ. ჩვენთვის კარგად ნაცნობ, „ვიტ ჯორჯიის“ ყოფილ თავკაც **ჯანი კარნევალეს** თბილისში **ლევან მჭედლიძის** აგენტი **დევიდე ტურკია** და "ემპოლის" წარმომადგენელი **სტეფანო კალისტრი** ჩამოჰყვნენ. მათი სტუმრობის მიზანი, რაღა თქმა უნდა ქართველ ფეხბურთელებზე დაკვირვება იყო. იტალიელებმა როგორც შევიტყვეთ რამდენიმე ქართველი ფეხბურთელის გვარი მოინიშნეს. ჯერჯერობით ნაადრევია იმისი თქმა, აპენინელთა ვიზიტის შემდეგ რომელიმე ქართველი ფეხბურთელი მიაშურებს თუ არა იტალიურ კლუბებს, მაგრამ ეს ვიზიტი შესაძლოა რამდენიმე ქართველი ფეხბურთელის ტრანსფერზე მუშაობის დაწყების წინაპირობადაც კი იქცეს. იტალიელთა ვიზიტის შესახებ **ლევან მჭედლიძის** ძმას, გიორგის დავეკითხეთ, რომელიც სწორედ დევიდე ტურკიას სააგენტოში მუშაობს. იტალიელებმა ინტერესი გამოთქვეს **ჯაბა კანკავას, ლევან ყენიას, მათე ღვინიანიძის, რევაზ ბარაბაძის, ბექა გოცირიძისა** და **ირაკლი კლიმიაშვილის** მიმართ.

"იტალიელები როგორც ეროვნული, ასევე ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელებით დაინტერესდნენ. დევიდე ტურკიამ და სტეფანო კალისტრიმ აღნიშნეს, რომ ჯაბა კანკავა, ლევან ყენია და მათე ღვინიანიძე ბევრად უკეთეს გუნდებში თამაშს იმსახურებენ. მათ სხვა ფეხბურთელებიც მოენონათ, მაგრამ მომიტევეთ და მათ გვარებს ჯერჯერობით ვერ დაგისახელებთ. ასევე აღნიშნეს, რომ ქართველი ფეხბურთელების მიმართ იტალიელთა ინტერესი აშკარად გაიზარდა“, - გვითხრა გიორგიმ.

გიორგის ძმაზეც დავეკითხეთ. "ლიტვასთან მატჩის პირველი ტაიმი მიმდინარეობდა, როცა ჩემს გვერდით მჯდომ დევიდეს მობილურ ტელეფონზე ლივერპულიდან დაურეკეს. ინგლისურ კლუბში მისი მეგობარი მუშაობს. სწორედ მან დაურეკა დევიდეს და ლევანი მოიკითხა, როგორ თამაშობსო. ლევანით "ინტერისა" და "იუვენტუსის" გარდა "პარმა" და „ბაიერნი" არიან დაინტერესებული", – გვითხრა გიორგი მჭედლიძემ

ამგვარი ვითარების შექმნის შემდეგ ბუნებრივია დავინტერესდით ლევანი ზამთრის პაუზისას კლუბს ხომ არ შეიცვლის.

"ემპოლის" არ ეთმობა ლევანი და თავად ლევანიც ჯერ არ ფიქრობს სხვა გუნდში გადასვლაზე. მისი ტრანსფერი ჯერჯერობით არ განიხილება. თუმცა სეზონის ბოლოს თუ "ემპოლი" უმაღლესი ლიგიდან გავარდა, მაშინ ლევანის ტრანსფერის საკითხი უკვე აქტიურად დაისმება. არც იმას გამოვრიცხავ რომ დაინტერესებული კლუბები სწორედ ამას ელოდებიან“, - გვითხრა გიორგიმ.

დავით ცაბაძე

www.kazbegi.com

გაახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

რატომ არ თამაშობს ზურაბ ხიზანიშვილი „ბლექბერნში“? ტრავმის შემდეგ ფორმის აღსადგენად დრო დასჭირდა, მაგრამ შემდეგ შოტლანდიასთან შეხვედრა უმაღლეს დონეზე ჩაატარა და ეს კითხვა მოიხსენა. ზურა ამ და სხვა საკითხებზე საინტერესო და ჯერაც უცნობ დეტალებს გვიამბობს.

ინტერვიუ ზურაბ ხიზანიშვილთან

ბლექბერნი ზურას ახალ კონტრაქტს სთავაზობს

არის სხვა შეთავაზებებიც, მალე ყველაფერს გავარკვევ

- მცირე ხნის წინათ „სანი“ წერდა, რომ „ბლექბერნის“ მოთამაშე ბენტლის მაისურზე შეცდომით ბეტნლი დააწერეს, მერე დასკვნაც გამოაცხვეს, ეტყობა, რთული გვარის გამო არ ათამაშებენ ხიზანიშვილსო. ეს რა იყო, ცნობილი გაზეთის ცინიზმი?

- არა, რა ცინიზმი. სტატიის ავტორი ჩემი მეგობარი ჟურნალისტია და სურს, რომ სულ ძირითადში ვთამაშობდე. მე კი არა, „ბლექბერნს“ დასცინა. სხვათა შორის, მანამდე წერდა, ხიზანიშვილი სტაბილური და ძლიერი მცველია, მისი უთამაშებლობა გაუგებარიაო. ისე, ინგლისელებისთვის მართლა ძნელად გამოსათქმელი გვარი მაქვს.

- გასაგებია, თუმცა შენი უთამაშებლობა სულაც არ გვახალისებს, იმ სტატიისგან განსხვავებით. სეზონში ერთი თამაში მართლა ცოტაა. რა ხდება შენს თავს, რატომ დაგსვა მარკ ჰიუზმა სკამზე?

- ასეთი საკითხები მწვრთნელის გასადაწყვეტია, ჰიუზი კი არ მათამაშებს.

- სწორედ ამის მიზეზი გვაინტერესებს. ფორმას გიწუნებს?

- ჩემი მდგომარეობა არაფერ შუაშია. საქმე ისაა, რომ ჩვენს შორის გარკვეული ბარიერები „ბლექბერნის“ ახალმა წინადადებამ წარმოქმნა.

- უფრო კონკრეტულად?

- ჰიუზი ახალი კონტრაქტის გაფორმებას ითხოვს. მე კონტრაქტი 2009 წლამდე მაქვს, მას კი გაცილებით ხანგრძლივი ხელშეკრულება უნდა. ახლა მოლაპარაკება მიდის. მანამდე კი ხდება იგივე, რაც თავის დროზე „გლაზგო რეინჯერსში“ - შეთანხმებამდე არ მათამაშებს.

- „ბლექბერნს“ რამდენწლიანი თანამშრომლობა სურს?

- 2012 წლამდე, მინიმუმ 2011-მდე. ახლა ინგლისში რომ დავბრუნდები, ამ თემაზე ჩემს მენეჯერთან და გუნდთან ერთად საფუძვლიანად დავილაპარაკებ.

- კაცმა რომ თქვას, ამ ხელშეკრულებას წინ რა უდგას, „ბლექბერნი“ აღარ გაკმაყოფილებს?

- ვფიქრობდი, ღირდა თუ არა დარჩენა. სხვა კლუბებიც მიწვევდნენ, იყო კონკრეტული შემოთავაზებები და დაუფიქრებლად ხანგრძლივი კონტრაქტის გაფორმება არ მსურდა. თუმცა „ბლექბერნმა“ ყველა ეს გუნდი უარით გაისტუმრა, ანუ ჰიუზს ჩემი იმედი გააჩნია.

- დაინტერესებულ გუნდებს დაგვისახელებ?

- ჩემგან ამის თქმა არ გამოდის. არ მსურს, აუიოტაჟის ატეხვა. თანაც ხომ გითხარით, „ბლექბერნს“ ჩემი გაშვება არ სურს.

ისე კი შემიძლია გითხრათ, რომ ინგლისის, გერმანიისა და თურქეთის საკმაოდ ცნობილი გუნდები მინვევდნენ. თურქები ძალიან მაგარ თანხას მთავაზობდნენ, მაგრამ მათ თავიდანვე უარი ვუთხარი.

- რატომ, თურქული ფეხბურთი ხომ მაღალი დონისაა?

- ინგლისის პრემიერლიგის შემდეგ, ჩემს ასაკში თურქეთში წასვლა გაუმართლებელი იქნება.

- რაკი ასეთ წინადადებებზე უარს ამბობ, დღევანდელი გუნდის ახალ შეთავაზებაზე კი თავს იკავებ, ჩანს ინგლისში „ბლექბერნზე“ გაცილებით ძლიერი გუნდები გიწვევენ.

- „ბლექბერნი“ დღეს არავისზე ნაკლები გუნდი არაა. ჩემპიონატი კარგად დავიწყეთ და მეხუთე ადგილზე ვართ. უფრო ძლიერი „ჩელსი“, „მანჩესტერი“, „არსენალი“ და „ლივერპულია“, მაგრამ „მანჩესტერ სიტისა“ და „ტოტენჰემში“ თამაშიც დიდი ბედნიერებაა. თუმცა იგივე დონის გუნდში გადასვლას აზრი არ აქვს.

მეტად ვერ დავკონკრეტდები. მენეჯერი მოლაპარაკებას აწარმოებს და არ მსურს ხელი შევუშალო. პირადად მე არც ერთ მათგანთან სერიოზული მოლაპარაკება არ მქონია.

- შენი სიფრთხილე გასაგებია. თუმცა ცნობილია, რომ გერმანიაში „შალკე“ გიწვევდა.

- ადრე იყო დაინტერესებული. ახლა ყველა წინადადება ჩემს მენეჯერთან მიდის. ის ყველაზე საინტერესოს მეუბნება.

- შოტლანდიასთან გასვლითი შეხვედრის პერიოდში შენი ინტერვიუ გამოქვეყნდა სათაურით - „ხიზანიშვილი შოტლანდიაში ბრუნდება?“ ეს ინფორმაცია სერიოზულად უნდა მივიღოთ? მართლა გთავაზობდნენ დაბრუნებას?

- იმ თამაშამდე, ჩემთან მოვიდნენ და მართლა მკითხეს, მსურდა თუ არა ისევ „რეინჯერსში“ თამაში. რა იქნება მომავალში, ამის თქმა მიჭირს. ხვალ ვინ სად ითამაშებს, წინასწარ ვერავინ იტყვის.

ახლა კი „რეინჯერსში“ დაბრუნებას გამოვრიცხავ. ინგლისის შემდეგ შოტლანდიაში თამაში მაინც უკუსვლაა.

- რამდენად სწორი შთაბეჭდილებაა - შოტლანდიის შემდეგ თითქოს ნაკრებს მეორე სუნთქვა გაეხსნა? აქამდე არარსებული ერთსულოვნება გამოჩნდა.

- მართლა ასეა. ნაკრებში ახალი ფეხბურთელები, ახალი სისხლი გამოჩნდა. ტოპმიოლერი პატარა ბიჭებს მასიურად იწვევს.

ძალიან გამიხარდა, რომ მათ შოტლანდიასთან საუკეთესო თამაში აჩვენეს. მჯერა, ისინი კიდევ უფრო გაიზრდებიან და გაცილებით უკეთეს ფეხბურთსაც აჩვენებენ. საამისოდ ყველაფერს თუ გააკეთებენ, ძალიან დიდი პერსპექტივა გააჩნიათ.

ერთსულოვნება ახსენეთ. ეს არ იყო მხოლოდ შთაბეჭდილება, რეალურად შეკრული გუნდით დავხვდით შოტლანდიას და მას შემდეგ ნაკრებში ვირწმუნეთ ჩვენი თავისა. ჩვენთან არ იყო ვეტერანი და ახალწვეული, 30 და 17 წლის. ჩვენ ერთი გუნდი ვიყავით, მხოლოდ მოგებაზე ვფიქრობდით.

ამ პატარა ბიჭებმა ყველანი გაგვაოცეს. შიში არ ჰქონდათ, მოედანზე მთელი სული და გული დადეს. მჭედლიძეები ყენია და მაკარიძე ნამდვილი ტალანტები არიან. მჭედლიძემ მნიშვნელოვანი ბურთიც გაიტანა.

- ვისი გაზრდილია მჭედლიძე?

- (იცინის) ჩემი კარის მეზობელი რომ არის, ამას გულისხმობ? ხომ არ ვიტრაბახებ. ხუმრობა იქით იყო და მისი წარმატება მართლა ძალიან მიხარია. კარის მეზობლები ვართ, კარგი ოჯახის შვილია და თვითონაც კარგი ადამიანია. ფეხბურთელი როგორიც გამოვიდა, აღარაფერს ვიტყვი, ეს უკვე ყველამ იცის. მან ზრდა უნდა გააგრძელოს და დიდი მომავალი გააჩნია.

- როგორც ვიცი, შენს სართულზე სულ ცნობილი ფეხბურთელები ცხოვრობენ.

- მართლა ასეა, ჩვენ, მჭედლიძეები, სვანაძეები. ადრე კაკილაშვილი ცხოვრობდა, მერე მის ადგილას ჯამარაული გადმოვიდა.

სხვათა შორის, კარგად მახსოვს, გოჩასგან რამხელა სითბო და სიყვარული დავინახე ნაკრებში მისვლის დროს. სწორედ ეს გამახსენდა, როდესაც ლევან მჭედლიძე ნაკრების შეკრებაზე პირველად გამოჩნდა. ჩვენ ყველა ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ და ერთსულოვნების პრობლემა არასდროს გაჩნდება.

მერაბ მამულაშვილი

ეროვნული ნაკრები

მივიწყებული ხალხი მალტიდან

მოლდოვა- საქართველო 5:1

27 თებერვალი. 2006. მალტის საერთაშორისო ტურნირი. ლა ვალეტა. ტა ქალი. 3 000 მაყურებელი

1:0 ზისლისი (5), 2:0 ზისლისი (13), 2:1 ცქიტიშვილი (18. პენ.), 3:1 ალექსეევი (48), 4:1 სუვოროვი (59. პენ), 5:1 ზმეუ (71)

საქართველო: თევდორაძე, ღვინიანიძე, კ. მახარაძე, ხიზანიშვილი, ცქიტიშვილი, კანკავა (46. კობიაშვილი), ასათიანი, მუჯირი, გ. ნუგ. ჭელიძე (65. რ. გოცირიძე), ბენაშვილი (60. მჭედლიშვილი), ბ. გოცირიძე (46. მარცვალაძე)

გაძევება: ხიზანიშვილი (58), ასათიანი (88)

მალტა-საქართველო 0:2

1 მარტი. 2006. მალტის საერთაშორისო ტურნირი. ლა ვალეტა. ტა ქალი. 2 000 მაყურებელი

0:1 მარცვალაძე (8), კანკავა (18)

საქართველო: **რევიშვილი, მჭედლიშვილი (55. ბჟალავა), ღვინიანიძე, ცქიტიშვილი, ფოფხაძე, კანკავა, განუგრავა, კობიაშვილი, მუჯირი (6. კ. მახარაძე), რ. გოცირიძე (82. გ. ნუგ. ჭელიძე), მარცვალაძე**

გაძევება: **კანკავა (58)**

პანზა (როსტ.)-საქართველო 0:0

9 ოქტომბერი. 2006. როსტოკი

საქართველო: **ლომაია (46. ჭანტურია), ღვინიანიძე, ხიზანეიშვილი, შაშიაშვილი (46. ამისულაშვილი), გოგუა (46. იმედაშვილი), ცქიტიშვილი (46. გრიგალაშვილი), კანკავა (46. მარცვალაძე), აშვეთია (46. იაშვილი), დემეტრაძე (46. ალადაშვილი), მოდებაძე, გიგიაძე**

ეროვნული ნაკრების ბოლო ორი წლის მონაგარი გუშინ შეავჯამეთ და შესარჩევ და ოფიციალურ მატჩებში ნაჩვენები სტატისტიკა შემოგთავაზეთ. ეს სამი შეხვედრა კი არაოფიციალურ ამხანაგურებს განეკუთვნება.

კლაუს ტოპმიოლერის ქართული კარიერა მოლდოვასთან, უფრო ზუსტად კი ამ ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებთან განადგურებით დაიწყო, თუმცა სამართლიანობა იმის აღნიშვნასაც მოითხოვს, რომ მოლდოვასა და მალტასთან გამწესებული შემადგენლობა გერმანელი მწვრთნელის არჩევანი არაა – გუნდთან გასაცნობად კლაუსს დიდი დრო არ ჰქონია და მალტაზე ფედერაციის მიერ შერჩეული შემადგენლობა წაიყვანა.

კახა მახარაძე (ბათუმი), **რევაზ გოცირიძე** (ამერი, იმ დროისთვის "კამაზში" ირიცხებოდა), **დავით მჭედლიშვილი** (ამერი), **ბექა გოცირიძე** (ზესტაფონი), **გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე** (ზესტაფონი), **ალექსი ბენაშვილი** (ზესტაფონი), **მირზა ბჟალავა** (ლუშტენაუ, მაშინ ზესტაფონი), **გიორგი ფოფხაძე** (ვიბორგი), გიორგი განუგრავა (უგუნდო, მაშინ ზესტაფონი) – ეს 9 ფეხბურთელი ტოპმიოლერმა მალტაზე საქმეში ნახა, მას შემდეგ კი მათთვის აღარ უხმია. მეკარე **რევაზ თევდორაძესაც** არ უთამაშია მას შემდეგ ნაკრებში, მაგრამ გამოძახებულთა შორის რამდენიმეჯერ იყო.

როსტოკში, "ჰანზასთან" კი შეგახსენებთ, ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა გერმანიასთან სპარინგის წინ ითამაშა.

ლევან ჯანეზაშვილი

დილა. ინტერვიუ ზურაბ ხორგუაშვილთან

საგრძნობლად გავძლიერდებით

ორიოდე დღის წინათ **გორის "დილას" მთავარ მწვრთნელად ზურაბ ხორგუაშვილი დაინიშნა – ახლო წარსულში მისი ფეხბურთელი და დამრიგებელი. გორელთა ძველ-ახალ მწვრთნელს ბლიც-ინტერვიუ ჩამოვართვით.**

- "დილაში" თქვენი დანიშვნა როდის გადაწყდა?

- კლუბის ხელმძღვანელობისგან წინადადება რამდენიმე დღის წინათ მივიღე, ცოტა ვიფიქრე და 22 ნოემბერს მთავარ მწვრთნელად დამამტკიცეს.

- გუნდი უმაღლესში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის. რამდენად რეალურად მიგაჩნიათ მიზნის მიღწევა?

- სავსებით რეალური მიზანია, მაგრამ საამისოდ მნიშვნელოვანი ცვლილებებია საჭირო. საგრძნობლად გავძლიერდებით, ზამთარში რამდენიმე კვალიფიციური ფეხბურთელის დამატებას ვგეგმავთ, კლუბს ამის შესაძლებლობა ნამდვილად აქვს. იგეგმება ნაყოფიერი შეკრების გავლაც.

- "დილასთან" დიდი ხნით აპირებთ თანამშრომლობას?

- ამ სეზონს გუნდი ჩემი ხელმძღვანელობით ჩაამთავრებს, დანარჩენს კი სიტუაცია გვიჩვენებს. თუ უმაღლეს ლიგაში დავრჩით, გაისად გაცილებით დიდ ამოცანებს დავისახავთ.

- ყოფილმა მწვრთნელმა მამუკა ვარდოსანიძემ გუნდი დატოვა?

- არა, ვარდოსანიძეც და ლადო ელიაურიც "დილაში" დარჩებიან. ჩვენ მეგობრები ვართ და საერთო წარმატებისთვის ერთად ვიშრომებთ.

ლევან ჯანეზაშვილი

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

ქართული ბიბლიოთეკა

www.pfl.ge



კარლო მჭედლიძე 50

ისტორიამ ბევრი გვასწავლა

ქართული კლუბები მეკარეებთან კარგად ვერ მუშაობენ

დღეს კარლო მჭედლიძეს 50 წელი უსრულდება, თბილისის „დინამოს“ ყოფილ მეკარეს, ვინც ახლაც ფეხბურთშია დასაქმებული - საფეხბურთო სკოლა „ოლიმპიკის“ დამფუძნებელი და პრეზიდენტი გახლავთ. მისი 17 წლის ვაჟი ლევანი კი ქართული ფეხბურთის იმედია - ეროვნულ ნაკრებში უკვე ერთ-ერთ საკვანძო მოთამაშედ იქცა... კარლო მჭედლიძემ ფეხბურთელობას ისე დაანება თავი, რომ საკუთარი თავი არ ამოუწურავს. „დინამოდან“ მაშინ წავიდა, როცა 25 წლის იყო, თამაში კი 29 წლისამ დაასრულა...

- ორმოცდაათი წელი უკან მოიტოვეთ. ყველაზე უფრო რაზე გწყდებათ გული და რას უსურვებდით საკუთარ თავს?

- ვისურვებდი, რომ საქართველოში უკეთესი ცხოვრება იყოს, დალაგებულ ქვეყანაში გვეცხოვროს, სადაც ადამიანი თავს მაქსიმალურად თავისუფლად იგრძნობს, რომ აღარ იყოს დაპირისპირებები... რაც შეეხება ჩემს კარიერას, ალბათ, ყველა სპორტსმენი იმას იტყვის, რომ მეტის გაკეთება შეეძლო. უკმაყოფილო კი ნამდვილად არ ვარ - 1976 წელს საბჭოთა კავშირის ნაკრებში ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატი მოვიგე, იმ გუნდის წევრი იყო ვიტალი დარასელიაც; 1981 წელს ევროპის თასების მფლობელთა თასი ავიღეთ; ხოლო 1986 წელს, ლანჩხუთის „გურიასთან“ ერთად უმაღლესი ლიგის საგზური მოვიპოვეთ.

- ალბათ, ახლაც კარგად გახსოვთ, როგორ მიხვედით „დინამოში“...

- გლდანის სპორტული ინტერნატის გუნდში ვთამაშობდი და მე-10 კლასში ვიყავი, „დინამოში“ რომ მიმიწვიეს. ეს 1976 წელს მოხდა. „დინამოს“ დუბლებში ორი წელიწადი დავყავი. მერე კი ქუთაისის „ტორპედოში“ გადავედი, რომელიც საბჭოთა კავშირის პირველ ლიგაში თამაშობდა. საკმაოდ მაღალი დონის ტურნირი იყო და „ტორპედოშიც“ მაშინ ბევრი საინტერესო ფეხბურთელი თამაშობდა. „დინამოში“ კი ორი წლის შემდეგ დავბრუნდი.

- მაშინ, „დინამოში“ პირველი მეკარე ოთარ გაბელია იყო, თქვენ მეორე. 1982 წელს კი უკვე ხშირად გიწევდათ თამაში „დინამოს“ ძირითადში, თუმც „დინამოდან“ მალევე წახვედით...

- „დინამოში“ ჯანსაღი კონკურენცია იყო, ერთ პოზიციაზე 2-3 ფეხბურთელი მოდიოდა. 1983 წელს კი „დინამოდან“ იმიტომ წამოვედი, რომ ამაყი ხასიათი მქონდა და რაღაც-რაღაცეებს ვერ შევეგუე. მე და გაბელია „დინამოდან“ თითქმის ერთდროულად წავედით. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ჩემთვის „დინამოში“ ხელი არავის უკვრია.

- 1982 წლის შემდეგ „დინამოს“ დაღმასვლა დაეწყო. როგორ ფიქრობთ, ყველაზე უფრო ეს რითი იყო გამოწვეული?

- თაობათა ცვლა ნაჩქარევად წარიმართა, გუნდიდან 7-8 ფეხბურთელი წავიდა. ეს ნელ-ნელა უნდა მომხდარიყო.

- გქონდათ იმის შანსი, რომ საქართველოდან სხვაგან ნასულიყავით სათამაშოდ. რატომ თქვით ამაზე უარი?

- როცა ქუთაისის „ტორპედოში“ ვთამაშობდი, მაშინ შემომთავაზეს მოსკოვის „ტორპედოში“ გადასვლა. ჩავედი მოსკოვში, ბინაც გამომიყვეს იქ, მაგრამ საქმისადმი კომუნისტური მიდგომის გამო, იქ ვერ დავრჩი - საქართველოდან ჩამომაკითხეს მოსკოვში და უკან წამიყვანეს. მქონდა კიევის „დინამოში“ გადასვლის შანსიც. სეზონისწინა შეკრება კიეველებს განთიადში ჰქონდათ და ვალერი ლობანოვსკის გუნდს იქ ჩავაკითხე. ლობანოვსკიმ გამაფრთხილა - აქედან პირდაპირ კიევში წამოდი, თბილისში ნუ ჩახვალო. არ დავუჯერე, თბილისში ჩამოვედი და აქედან ვაპირებდი კიევში გამგზავრებას, მაგრამ დამიბარეს და მითხრეს - ვერსადაც ვერ წახვალ, აქ, თბილისის „დინამოში“ უნდა იყო, საქართველოსთვის უნდა ითამაშო. დავრჩი „დინამოში“ და ამის შემდეგ სულ ვემალებოდი ლობანოვსკის.

- ლანჩხუთის „გურიაში“ გატარებული წლებიდან რომელ ამბავს გაიხსენებდით?

- „გურია“ 1986 წელს უმაღლეს ლიგაში რომ გადავიდა, ეს ევგრაფ შევარდნაძის დიდი ღვაწლის გარეშე არ მოხდებოდა. ის მართლაც ყველაფერს აკეთებდა „გურიისთვის“. როცა მას ინსულტი დაემართა, თბილისში გადაიყვანეს, იქიდან კი ვერტმფრენით ბრუნდებოდა ლანჩხუთში. ვერტმფრენი ვაკე ადგილზე უნდა დამჯდარიყო და როცა პილოტმა სტადიონზე დაჯდომა განიზრახა, ევგრაფი შევარდნაძემ ეს არ დაუშვა - ბიჭებს ხვალ თამაში აქვთ და მინდორი არ გავუფუჭოთო.

- 29 წლისამ რატომ დაანებეთ თამაშს თავი?

- ორივე ფეხზე ტრავმა მაწუხებდა, რაც ძალიან მიშლიდა ხელს თამაშში, თუმც კიდევ შემეძლო კარში დგომა, მაგრამ მაინც თავის დანებება გადავწყვიტე - უმაღლეს ლიგაში გადასვლა საკმაოდ მნიშვნელოვანი წარმატება იყო და წასვლაც ამას დავამთხვიე.

- საქართველოში კერძო საფეხბურთო სკოლა პირველად თქვენ შექმენით...

- „ოლიმპიკი“ 1997 წელს გავხსენით. სკოლის დამფუძნებელი მე ვარ, თუმც ამ საქმეს მარტო ვერ შევეჭიდებოდი. თქვენი გაზეთის საშუალებით, მსურს, მადლობა ვუთხრა ჩემს ძმებს, გივის და ჯემალის, აგრეთვე, გიგლა იმნაძეს, ლევან მელიქიას, გიგლა ხუფაცარიას, გოგი და ლონია ციკოლიებს, ამირან ბებუას, თემურ ებანოიძეს...

- რა არის მთავარი პრინციპი, რითაც „ოლიმპიკი“ მუშაობს?

- ვცდილობთ, მხოლოდ ის ბავშვები დავიტოვოთ, ვისშიც პოტენციალს ვხედავთ, ხოლო დანარჩენებს ვურჩევთ, სხვაგან მოსინჯონ ძალა, მაგრამ ხელს არავის ვკრავთ. შეცდომისგან დაზღვეული არავინაა, შესაძლოა, ბავშვმა ჩვენთან ვერ გამოიჩინოს თავი, სხვა საფეხბურთო სკოლაში წავიდეს და იქ უკეთესად ათამაშდეს. „ოლიმპიკში“ ბევრი საინტერესო ფეხბურთელი აღიზარდა - გოგიტა გოგუა, გიორგი მერებაშვილი, დიმიტრი ტატანაშვილი, კახა ალადაშვილი... ყოველივე ეს იმანაც განაპირობა, რომ ჩვენთან კარგი მწვრთნელები მუშაობენ. მადლობა მინდა ვუთხრა გია ქუმსიაშვილს და ვოვა ახობაძეს.

- თქვენს ვაჟს, ლევანს, ჰყავდა პირადი მწვრთნელი?

- ის „ოლიმპიკში“ იმავე პროგრამით ვარჯიშობდა, როგორც ყველა ბავშვი. თავიდანვე ეტყობოდა, ნიჭიერი რომ იყო და ყოველთვის ლიდერის ამპლუაში უნდოდა ყოფნა. მის წინსვლას იმანაც შეუწყო ხელი, რომ თანაგუნდელებიც ნიჭიერები ჰყავდა. ლევანის პირადი მწვრთნელი მელიქია გახლდათ. როცა ის 15 წლის იყო, უკვე მაშინ დაინტერესდნენ მისით „ჰამბურგი“, „ვერდერი“ და „კაიზერსლაუტერნი“, იყო ინტერესი ბელგიიდანაც, თუმც ყველაზე უფრო იტალიელებმა იაქტიურეს.

- არაევროკავშირელი მოზარდისთვის თითქმის შეუძლებელია იქაურ კლუბში მოხვედრა...

- „ემპოლიმ“ დიდი შრომა გასწია ფორმალობების მოსაგვარებლად. შედეგად, ლევანს „პერმისო“ მისცეს, რაც მას იტალიაში და ევროკავშირის დანარჩენ ქვეყნებში ცხოვრების უფლებას აძლევს. ლევანს „ემპოლისთან“ 1+1+1 კონტრაქტი აქვს. 18 წლის რომ გახდება, მერე გადავწყვეტთ, „ემპოლიში“ დარჩება თუ სხვაგან წავა.

- თქვენი მეორე ვაჟი გიორგიც პერსპექტიული ფეხბურთელი აღმოჩნდა, მაგრამ...

- მასაც ეპატიჟებოდა „ემპოლი“, მაგრამ „ოლიმპიკში“ თამაშის დროს, 18 წლისამ, ძალიან რთული ტრავმა მიიღო. გიორგი ახლაც ვერ ვარჯიშობს. ტრავმის გამო, ფაქტობრივად, ოთხი წელი გაუცდა. ის ახლა იურისპრუდენციას სწავლობს ფლორენციაში. თუ წლის ბოლომდე ვერ გამოვჯანმრთელდები, ფეხბურთელობაზე აღარ ვიფიქრებო - ასეთია მისი პოზიცია.

- 17 წლის ლევან მჭედლიძე კი ეროვნულ ნაკრებში უკვე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფეხბურთელია. ამ ასაკში ასეთ სიმაღლეზე ასვლა რისკთან არ არის დაკავშირებული?

- ზოგადად, ასეთი რამ რისკია, მაგრამ ყველაფერი ინდივიდზე, მის ორგანიზმზეა დამოკიდებული.

- საქართველოში მაღალი კლასის მეკარე არა და არ გამოჩნდა. ამას რითი ახსნიდით?

- თუ 18 წლის მეკარემ თავი დიდად ვერ გამოიჩინა, ნაკრებში ვერ მოხვდა, მას ჩვენთან ჩამოწერილად მიიჩნევენ, არადა, ფეხბურთელი 25 წლის ასაკში ყალიბდება. ქართულმა კლუბებმა უნდა ისწავლონ, თუ როგორ გაუფრთხილდნენ კადრებს. ისინი მეკარეებთან კარგად ვერ მუშაობენ.

- დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელად ვინ მიგაჩნიათ?

- 90-ან წლებში ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი გამოჩნდა. ქართველ გულშემატკივარს პატარა გაელვებები არ აკმყაოფილებდა, დიდი გამარჯვებები სწყუროდა და ამასთან შეჭიდება 90-ანელთა თაობისთვის პრობლემატური გამოდგა. ამ თაობამ მოახერხა, რომ ქართულ ფეხბურთში ხიდი არ ჩატყდა. ისევ მოვიდნენ კარგი ფეხბურთელები. ვფიქრობ, ამ პერიოდის საუკეთესო ფეხბურთელი შოთა არველაძეა.

- თქვენი კერპი ვინ იყო?

- ყველა ის ფეხბურთელი, ვინც თბილისის „დინამოში“ თამაშობდა. როცა დიუსელდორფში თასი მოვიგეთ, მაშინ ითქვა - რომ არა ბორია პაიჭაძე და მიშა მესხი, რომ არა ჩვენი ფეხბურთის ისტორია, „დინამო“ თასების თასს ვერ მოიპოვებდაო. ეს გამარჯვება უცბად არ მოსულა, ისტორიამ ბევრი გვასწავლა. უცხოელებიდან ბენქსი და ვან ბასტენი მომწონდა, ბოლო პერიოდის საუკეთესო ფეხბურთელად კი რონალდო მიმაჩნია. მასზე ევროპაში ასე ამბობენ - თუ რონალდო თამაშობს, ესე იგი ის პირველია.

დავით თავართქილაძე

CDN ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲪᲘᲤᲠᲘᲡᲘ ᲥᲡᲔᲚᲘ
CAUCASUS DIGITAL NETWORK
ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲪᲘᲝ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲠᲣᲚ ᲞᲐᲙᲔᲢᲘ:
CDN DSL ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲢᲐᲑᲘᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲘ;
CDN 335 ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲛᲐ;
CDN 8-66 ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ;
GIGA ᲘᲡᲐᲣᲑᲠᲔ ᲛᲔᲢᲘ, ᲒᲐᲓᲐᲘᲮᲐᲓᲔ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘ;
CDN ᲥᲡᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲢᲐᲟᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ;
24 ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ
• ᲣᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ • ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ
• ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ • ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲣᲤᲩᲘᲚᲐᲓ
ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲝ ᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲛᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲐ!
ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲝᲞᲢᲘᲙᲣᲠ-ᲑᲝᲭᲙᲝᲕᲐᲜᲘ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲔᲑᲘ!
ᲓᲐᲠᲔᲙᲘ, ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲔ, ᲩᲐᲬᲔᲠᲔᲗ!
ᲝᲠ. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡ 14
ᲢᲔᲚ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. XIII ტურის წინ

დიდი ჭკივილის შემდეგ: იქნება მილანური შეჯორვა სარდინიაზე?

დღეს

ჯენოა-რომა
ინტერი-პალერმო

ხვალ

კალიარი-მილანი
ემპოლი-ტორინო
ლაციო-პარმა
ლივორნო-სამპდორია
ნაპოლი-კატანია
რეჯინა-ფიორენტინა
უდინეზე-სიენა
იუვენტუსი-პალერმო

იტალიის ნაკრების საევროპო წარმატებამ აპენინური ფეხბურთის მძიმე დღეები უკანა პლანზე გადაწია. დღეიდან, კალჩო ჩვეულებრივად გაგრძელდება, თუ, რა თქმა უნდა, კიდევ არ აურიეს ფანებმა. ამათ მიმართ კი ფეხბურთის ფედერაციამ გარკვეულ ზომებს მიმართა. ზოგიერთი კლუბის რადიკალურ დაჯგუფებას გასვლით თამაშებზე გამგზავრება აეკრძალა, "ატალანტის" "ულტრასებს" კი კარგახანს არ ექნებათ "ატლეტი აძურიზე" ჩრდილოეთი ტრიბუნის შევსების უფლება...

ტური შაბათს, "ჯენოა"-"რომას" მატჩით გაიხსნება. ექვსმატჩიანი ნარმატებული სვლის შემდეგ, გენუელები მე-12 ადგილზე ჩამოიქვეთდნენ. წინა ტურში **ჯამპიერო გასპერინის** ბიჭები რეჯინაში 0:2 დამარცხდნენ. მასპინძლებს დიდი საკადრო პრობლემები არ აქვთ. ერთადერთი, **აბდულაი კონკოს** აქვს ტრავმა, თუმცა მოედანზე გასვლა შეიძლება მაინც მოახერხოს. თავსატეხი კი **ლუჩანო სპალეტის** აქვს, თუ აქვს. კვლავ ვერ ითამაშებს **ფრანჩესკო ტოტი**, ამას გარდა, არ იქნებიან **სიმონე პეროტა, ალბერტო აკვილანი** და **როდრიგო ტადეიც**. "რომას" თავკაცი იძულებული იქნება, **მაქს ტონეტო** დაცვის მარცხენა ფლანგიდან შეტევაში დააწინაუროს. ნახევარდაცვის ცენტრში კი პეროტას ადგილს **მატეო ბრიგი** დაიკავებს.

შაბათსვე, "სან სიროზე" "შავ-ლურჯების" დერბია. "ინტერი" "ატალანტას" მასპინძლობს. **რობერტო მანჩინი** შედარებით კარგ ხასიათზე ხვდება თამაშს: **დეიან სტანკოვიჩი** და **მარკო მატერაცი** გამოჯანმრთელდნენ. თუმცა **ლუიშ ფიგუ, პატრიკ ვიეირა** და **სეზარ აპარესიდო** კვლავ ლაზარეთში რჩებიან. "ატალანტის" პრობლემა ნახევარმცველ **დიეგო დე აშენტისის** დისკვალიფიკაციაა, პლუს ამას, უდისციპლინობისთვის გუნდიდან დროებით მოკვეთილია ვეტერანი ფორვარდი **რიკარდო ძამპანია**.

"მილანი" სარდინიას სტუმრობს. მატჩის მთავარი ინტრიგა ლამის ისაა, თუ რამდენ ბურთს შეაგდებს "როსონერი" გასვლით შეხვედრაში. ცნობისთვის, ხუთ საგარეო დაპირისპირებაში "მილანს" 15 (!) გოლი აქვს გატანილი. ბოლო ორ მატჩში მან "ლაციო" (5:1) და "სამპდორია" (5:0) გაანადგურა. ასე რომ, "კალიარი" ძალიან ფრთხილად უნდა იყოს. შეგახსენებთ, რომ სარდინიელებს ახალი მწვრთნელი ჰყავთ. ორი კვირის წინათ, **მარკო ჯამპაოლო** გამოცდილმა **ნედო სონეტიმ** შეცვალა. სონეტის მთავარი პრობლემა ნახევარმცველ **ანდრეა დ'აგოსტინოს** ტრავმაა. ერთი ტრავმირებული ჰყავს **კარლო ანჩელოტისაც**, ნახევარმცველ **მარეკ იანკულოვსკის** სახით. რაც შეეხება **რონალდოს**, "ფენომენი" გამოჯანმრთელდა და შესაძლოა, მეორე ტაიმის რაღაც ნაწილი ითამაშოს. "გაძეტა დელო სპორტის" ვერსიით, **კახა კალაძე** ძირითადში იქნება.

"ფიორენტინა", რომელიც გასულ ტურში პირველად დამარცხდა ("უდინეზესთან", შინ 1:2), რეჯოკალაბრიაში ითამაშებს. "რეჯინა" კი ის გუნდია, ვინაც ორი კვირის წინათ პირველი გამარჯვება იზეიმა ახალი მწვრთნელის, **რენცო ულივიერის** ხელში. მასპინძელთა პრობლემა **ლუკა ტონიოცისა** და **ჩიჩო კოცას** ტრავმებია. უფრო მეტი პრობლემა აქვს **ჩეზარე პრანდელის**, რომელიც **ადრიან მუტუს, ფაბიო ლივერანის, მარიო სანტანას, ალესანდრო გამბერინის, ტომაშ უიფალუშისა** და **მანუელ პასკუალს** ვერ დაიხმარს. ამას გარდა, ეჭვქვეშაა **დარიო დაინელის** თამაში. მუტუს არყოფნა, სასტარტოში **კრისტიან ვიერის** გამოჩენას უნდა ნიშნავდეს. არ არის გამორიცხული, პრანდელიმ ძირითადში არამარტო ვიერი, არამედ არგენტინელი **ხუან პაბლო ოსვალდოც** დაიყენოს.

"ოლიმპიკოზე" ძველი გრანდების დაპირისპირებაა. "ლაციო" და "პარმა" ცხრილში მეზობლად არიან, საიდანაც გასავარდნი ზონა ერთი ხელის განვდენაზეა. ეს იქნება ასევე მატჩი, რომელმაც მწვრთნელების ბედიც შეიძლება გადაწყვიტოს. **დელიო როსი** და **მიმო დი კარლო** მეტად არასახარბიელო მდგომარეობაში არიან. ერთი წაგებაც და, შეიძლება, რომელიმეს ჩემოდნების ჩალაგება მოუწიოს. ორივე გუნდს უზარმაზარი დანაკლისი აქვს. "ლაციოს" არ ეყოლებიან **მასიმო მუტარელი** და **გაბი მუდინგაი**, რომლებიც დისკვალიფიცირებულნი არიან, და ტრამირებულები - **სანჩეს კრიბარი, ლუჩანო ძაური, ვალონ ბეჰრამი** და **სიმონე დელ ნერო**. ასევე მძიმეა პარმელთა დანაკლისი. სასჯელებს იხდიან **ფერდინანდ კოლი** და **დომენიკო მორფეო**, ხოლო **ჯუზეპე კარდონე** და **იგორ ბუდანი** მკურნალობენ.

ძალიან საინტერესო იქნება სამხრეთული დერბი "ნაპოლისა" და "კატანიას" შორის. დღესდღეობით, ორივე გუნდი, მოლოდინისდა საპირისპიროდ, ცხრილის შუაშია განთავსებული, თუმცა ეს ჯერ ვერ იქნება დამშვიდების საბაბი. მასპინძლები საბრძოლო შემადგენლობით არიან, სიცილიელებს კი წამყვანი მცველი **კრისტიან ტერლიცი** და ნახევარმცველი **ხუან ვარგასი** არ ეყოლებათ. ეჭვქვეშაა, ითამაშებენ თუ არა **მარკ ედუსეი, ხორხე მარტინესი** და **როკო საბატო**.

უდინეში კიდევ ერთი ახალი მწვრთნელის დებიუტი შედგება. ერთწლიანი პაუზის შემდეგ "სიენას" მოედანზე კვლავ **მარიო ბერეტა** გაიყვანს. უშველის თუ არა ტოსკანურ კლუბს ძველი დამრიგებლის დაბრუნება, ამას ახლო მომავალში ვნახავთ. რაც შეეხება "უდინეზეს", უცნაურია, რომ მეხუთეადგილოსან გუნდს შინ ბურთების უარყოფითი ბალანსი აქვს, რაც "ნაპოლისთან" მარცხის (0:5) "დამსახურებაა". მასპინძლებს ტრავმირებული ჰყავთ ნახევარმცველი **ჯანდომენიკო მესტო**, ხოლო მცველი **კრისტიან საპატა** დისკვალიფიკაციას იხდის. ბერეტა საბრძოლო შემადგენლობითაა. სავარაუდოდ, ის წინა ხაზზე არჩევანს **ტომას ლოკატელისა** და **მასიმო მაკარონეს** სასარგებლოდ შეაჩერებს.

"ლივორნო" და "სამპდორია" ბოლოხანს კარგ ფორმაში იყვნენ, თუ ეს იდილია სანაკრებო პაუზამ არ დაარღვია. ტოსკანელებს ზედიზედ ორი გამარჯვება აქვთ. ანალოგიური შედეგით იწონებენ თავს გენუელებიც, რომლებმაც ეს ორი მატჩი დიდი ანგარიშითაც მოიგეს. "სამპს" სერიოზული დანაკლისი აქვს ფორვარდ **ვინჩენცო მონტელას** სახით. ამას გარდა, ტრავმირებულები არიან **ანტონიო კასანო, ჯენარო დელვეკიო** და **ანჯელო პალომბო**. "ლივორნოს" პრობლემები აქვს ნახევარდაცვაში, სადაც **ჟოზე ვიდიგალი** და **ანტონიო ფილიპინი** არ იქნებიან.

ბევრი აქვს საფიქრალი "ემპოლის" მწვრთნელი ლუიჯი კანისაც. მის განკარგულებაში არ იქნებიან ძირითადი მეკარე **დანიელე ბალი**, გამოცდილი მცველი **დანიელე ადანი** და პერსპექტიული ნახევარმცველი **კლაუდიო მარკიზიო**. ეს, რაც შეეხებათ ტრავმირებულებს, მცველი **რიჩარდ ვანილი** კი ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას იხდის. "ტორინოს" მთავარი დანაკლისი ფორვარდ **დავიდ დი მიკელეს** ტრავმაა.

დაბოლოს, "იუვენტუსი"-"პალერმო". ეს გუნდები ბოლოხანს ფრეებს ვერ გასცდნენ: "იუვეს" ზედიზედ ორჯერ მოუხდა ქულების გაყოფა, სიცილიელებს კი სულაც ხუთჯერ. როგორც იტყვიან, გამარჯვების დროა. მაგრამ ვისთვის? **კლაუდიო რანიერისა** და **სტეფანო კოლანტუონოს** პრობლემები არც თუ ბევრი აქვთ. "ქალბატონს" დიდი ხანია ტრავმირებული ჰყავს მცველი **ჟორჟე ანდრადე**, მაგრამ ახლა მას დისკვალიფიცირებული მარცხენა მცველი **ჯორჯო კიელინიც** დაემატა. **ფაბრიციო მიკოლი** კი "პალერმოსთვის" გაცილებით დიდი დანაკლისია. აქვე დავძენთ, რომ "იუვემ" "როზანეროს" ბოლო ორი მატჩი შინ ერთნაირი ანგარიშით, 2:1 მოუგო.

მილანს რონალდო უბრუნდება

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ინტერი	11	7	4	0	22-7	25
2. ფიორენტინა	12	6	5	1	19-9	23
3. იუვენტუსი	12	6	4	2	24-13	22
4. რომა	11	6	4	1	25-16	22
5. უდინეზე	12	6	4	2	14-13	22
6. ატალანტა	11	4	6	1	15-13	18
7. პალერმო	12	4	6	2	17-16	18
8. სამპდორია	12	5	2	5	14-14	17
9. ნაპოლი	12	4	3	5	19-15	15
10. კატანია	12	3	6	3	11-11	15
11. მილანი	11	3	5	3	18-9	14
12. ჯენოა	12	3	5	4	12-17	14
13. ტორინო	12	2	7	3	13-14	13
14. პარმა	12	2	6	4	15-21	12
15. ლაციო	11	2	4	5	11-16	10
16. სიენა	12	1	6	5	12-18	9
17. კალიარი	11	2	3	6	10-18	9
18. რეჯინა	12	1	6	5	9-18	9
19. ლივორნო	12	2	3	7	14-24	9
20. ემპოლი	12	2	3	7	7-19	9

ფაბიო კაპელო

ინგლისის ნაკრები

კაპელო, ახალი ფავორიტი

ბუქმეიძერებს ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ახალი ფავორიტი ჰყავთ - **ფაბიო კაპელო**. იტალიელი სპეციალისტი ამბობს, რომ შეთავაზებას სიამოვნებით განიხილავს. ტოტალიზატორმა "ფედი ფაუერმა" კაპელოს შანსები 2:1-ზე შეაფასა. ამ საბუქმეიქერო კანტორას **ჟოზე მოურინიოს** კანდიდატურაც რეალურად მიაჩნდა, მაგრამ პორტუგალიელმა სარფიან ვარიანტზე უარი თქვა. *"მეგონა, მოურინიო დათანხმდებოდა,"* - გამოუტყდა კაპელო იტალიელ ჟურნალისტებს. - *"ჩანს, მას სხვა გეგმები აქვს. ჩემთვის ინგლისის ნაკრები ძალიან საინტერესო ვარიანტია. ასეთი სამსახური ყოველთვის მიზიდავდა."* მიმომხილველები მსოფლიოს ჩემპიონ **მარჩელო ლიპისაც** შეეხმიანნენ. ის მცირე კომენტარით შემოიფარგლა: *"თუ დამიკავშირდებიან, მოვიფიქრებ."*

ფრანც ბეკენბაუერმა ინგლისელებს **იურგენ კლინსმანის** დანიშვნა ურჩია. "ბილდის" სვეტში კაიზერმა დაწერა, რომ ინგლისის ნაკრები კლინსისათვის იდეალური სამუშაო იქნებოდა, ხოლოდ კლინსი - იდეალური მწვრთნელი ინგლისის გუნდისათვის. ბრიტანული სააგენტოების ცნობით, საფეხბურთო ასოციაცია ბრიტანელ მწვრთნელს ეძებს, მაგრამ ორი ფავორიტი - **მარტინ ონილი** და **სემ ელერდაისი** დასაქმებულია. ისინი თავიანთი კლუბების, "ასტონ ვილისა" და "ნიუკასლის" დატოვებას არ აპირებენ. ჟურნალისტები ინგლისელთა ყოფილ თავკაც **სვენ გორან ერიქსონს** დაუკავირდნენ. კითხვაზე, ვინ შეიძლება დაინიშნოს **სტივ მაკლარენის** ნაცვლად, სვენმა მიუგო: *"წარმოდგენა არა მაქვს. არც რაიმე მოსაზრება გამაჩნია. ეს ჩემი საქმე არ არის."*

და მაინც, კაპელო თუ მოურინიო? ჟოზეს საკლუბო ფეხბურთში დარჩენა სურს. მას თვალი ევროპულ გრანდებზე უჭირავს. ჟოზე 44 წლისაა. მის ასაკში სახელგანთქმული სპეციალისტები ნაკრებში იშვიათად მიდიან ხოლმე. ნაკრები ზედგამოჭრილია 61 წლის კაპელოსათვის, რომელსაც საკლუბო დონეზე უთვალავი ტიტული აქვს. დონ ფაბიო "რეალიდან" ივნისში დაითხოვეს. მან "მილანს" ოთხი, "იუვენტუსს" ორი, "რომას" კი ერთი სკუდეტო მოუტანა. კაპელომ "რეალი" ორჯერ გახადა ესპანეთის ჩემპიონი, ხოლო 1994 წელს ჩემპიონთა თასი დაისაკუთრა. მწვრთნელს ინგლისთან ერთი განსაკუთრებული მოგონება აკავშირებს. 1973 წელს იტალიამ ინგლისს "უემბლიზე" პირველად მოუგო. "აძურიმ" ამას კაპელოს გოლით მიაღწია.

ბექჰემი ნაკრებიდან არ წავა

დევიდ ბექჰემი ინგლისის ნაკრებიდან ნასვლას არ აპირებს. მის სანაკრებო აქტივში 99 მატჩია. მალე ეროვნულ გუნდს ახალი მწვრთნელი ეყოლება. მან ვეტერან ნახევარმცველთან თანამშრომლობა შეიძლება აღარც კი მოისურვოს, მაგრამ ბექჰი იმედს არ კარგავს. დევიდი 2010 წლის მუნდიალს უმიზნებს. იმ დროისათვის ის 35 წლის იქნება. პროგრამა-მინიმუმი კი ისტორიული, მე-100 სანაკრებო მატჩის ჩატარებაა. ბექჰემი ამბობს, ინგლისზე უარს არასოდეს ვიტყვი და როცა საჭირო ვიქნები, მაშინ ჩამოვალო. "ლოს ანჯელეს გალაქსის" ვარსკვლავი დარწმუნებულია, რომ საფეხბურთო ასოციაცია უცხოელ მწვრთნელს დაიქირავებს. ფეხბურთელმა იმის შესახებაც გვაუწყა, რომ იანვრიდან გაეროს კეთილი ნების ელჩობას შეუდგება. მისი მეგობრები, **ზინედინ ზიდანი** და **რონალდო** უკვე რამდენიმე წელია, ამ საპატიო მოვალეობას ასრულებენ.

ბალაკი დეკემბერს უმიზნებს

მიხაელ ბალაკი "ჩელსის" დეკემბერში დაუბრუნდება. 31 წლის ნახევარმცველს 22 აპრილის შემდეგ არ უთამაშია. ის გასული სეზონის მიწურულს, "ნიუკასლთან" მატჩისას დაშავდა. ბალამ კოჭის მძიმე ტრავმა მიიღო და ორი ოპერაცია გაიკეთა. სარეაბილიტაციო კურსმა მოსალოდნელზე მეტხანს გასტანა. მან გერმანიის ნაკრების ბრლო ათი მატჩი გამოტოვა. გასულ ოთხშაბათს მიხაელი ფრანკფურტში ჩავიდა და გერმანია-უელსის შესარჩევ შეხვედრას დაესწრო. ის გუნდს სავარაუდოდ თებერვალში დაუბრუნდება. 6 თებერვალს ბუნდესნაკრები ავსტრიასთან ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს.

პიუზის ახალი კონტრაქტი

მარკ ჰიუზმა "ბლექბერნთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა. ის "ივუდ პარკზე" 2010 წლის ივნისამდე დარჩება. 44 წლის სპეციალისტს ინგლისის ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატად განიხილავდნენ, მაგრამ მან სპეკულაციებს ნერტილი დაუსვა. ხელშეკრულების დეტალები უცნობია. ჰიუზი "ბლექბერნში" 2004 წელს მივიდა. კლუბის თავმჯდომარე **ჯონ უილიამსი** ამბობს, რომ განვლილ სამ წელიწადში "ვარდებმა" თვალსაჩინო პროგრესი განიცადეს. მარკი ოქტომბრის თვის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს. მისი შეგირდები მეშვიდე ადგილზე იმყოფებიან. მათ ევროპული ზონისაგან ერთი ადგილი აშორებთ.

ოში: მანჩესტერში 2012 წლამდე

ჯონ ოში "მანჩესტერ იუნაიტედთან" კონტრაქტი 2012 წლამდე გააგრძელა. 26 წლის მცველს ძველი ხელშეკრულება2009 წელს უმთავრდებოდა. ამიერიდან მას უფრო მაღალ ხელფასს გადაუხდიან. ოშიმ ირლანდიის ნაკრებში 43 მატჩი ჩაატარა. ის უნივერსალური ფეხბურთელია. ჯონს დაცვასა და ნახევარდაცვაში რამდენიმე პოზიციაზე თამაში შეუძლია. გასული სეზონის ერთ შეხვედრაში კარშიც კი დაყენეს (მეკარის გაძევების გამო). ოშიმ პროფესიული კარიერა "იუნაიტედში", 1998 წელს დაიწყო. ის ორჯერ იყო განათხოვრებული "ბორნმუთსა" და ბელგიურ "ანტვერპენში".

ალბანეთი უმწვრთნელოდ

ოტო ბარიჩა ალბანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა. ოთხშაბათს, ბოლო შესარჩევ მატჩში მისი შეგირდები რუმინეთს შეხვდნენ და 1:6 განადგურდნენ. ბარიჩი ალბანეთის ეროვნული გუნდის ისტორიაში მესამე უცხოელი დამრიგებელი იყო იტალიელი **ჯუზეპე დოსენასა** და **ჰანს-პეტერ ბრიგელის** შემდეგ. ალბანელებმა 12 მატჩში 11 ქულა დააგროვეს და შესარჩევი ტურნირი მეხუთე ადგილზე დაასრულეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. XIV ტურის წინ

ლიდერთა მსუბუქი გასეირნება

დღეს

ნიუკასლი-ლივერპული
არსენალი-ვიგანი
ბირმინგემი-პორტსმუთი
ბოლტონი-მანჩესტერ იუნ.
ევერტონი-სანდერლენდი
მანჩესტერ სიტი-რედინგი
მიდლსბრო-ასტონ ვილა
დერბი-ჩელსი

ხვალ

ვესტ ჰემი-ტოტენჰემი
უოლჰემი-ბლეკბერნი

ინგლისურ ფეხბურთს უმძიმესი კვირა ჰქონდა, მაგრამ ნაკრების ფიასკო "მეთოფეების" თამაშზე ვერ აისახება. **არსენ ვენგერი** ძირითადში მხოლოდ ლეგიონერების დაყენებას აპირებს. თანაც ლონდონელთა მეტოქე ის "ვიგანია", რომელსაც ზედიზედ შვიდი თამაში აქვს წაგებული. ვიგანელებმა ახალი მწვრთნელი დანიშნეს. **სტივ ბრუსმა** "ბირმინგემთან" კონტრაქტი გაწყვიტა და "ვიგანს" მიაშურა. მის სანაცვლოდ 3 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. ბრუსი "არსენალთან" თამაშს საპატიო სტუმრის რანგში დაესწრება. ის მუშაობას ორშაბათიდან შეუდგება. დღეს კი გუნდს დროებითი დამრიგებელი **ფრენკ ბარლოუ** გაიყვანს. "არსენალს" საკადრო პრობლემები აქვს. **ალექსანდრ გლებმა** მუხლის მყესები დაიზიანა, მატიო ფლამინიმ - ბარძაყის კუნთი. ბრაზილიიდან დაღლილი დაბრუნდა **ჟილბერტო სილვა**. ისევენებენ **ფრანსესკ ფაბრეგასი** (დისკვალიფიკაცია) და **აბუ დიაბი**. "ვიგანს" **ემილ ჰესკი** გამოუჯანმრთელდა. ის სექტემბერის შემდეგ პირველ მატჩს ჩაატარებს.

"მენიუ" ბოლტონში მიემგზავრება. ბოლტონელები, "ვიგანის" მსგავსად, გასავარდ ზონაში ბინადრობენ. "იუნაიტედი" პრემიერლიგაში აგვისტოს შემდეგ არ დამარცხებულა. მასაც გარკვეული პრობლემები აქვს. **ნემანია ვიდიჩი** სერბეთის ნაკრებიდან დაშავებული დაბრუნდა. მისი თამაში საეჭვოა. **რიო ფერდინანდს** დაცვის ცენტრში **ვესლი ბრაუნს** შეუწყვილებენ. მასპინძლებს **ნიკოლა ანელკა** გამოუჯანმრთელდათ. დისკვალიფიკაცია მოიხადა **ელჰაჯი დიუფმა**. ასე რომ **გარი მეგსონი** ოპტიმალურ თავდამსხმას დააყენებს.

სუსტი მეტოქე ჰყავს კიდევ ერთ ფავორიტ "ჩელსის". ის ბოლოადგილოსან "დერბის" ესტუმრება. ხორვატიასთან დამარცხებული **ფრენკ ლემპარდი, ჯო კოული** და **შონ რაიტ-ფილიპსი** ძირითადში ითამაშებენ. "არისტოკრატებს" **რიკარდო კარვალიო** დააკლდებათ. საეჭვოა **პეტრ ჩეხის** თამაში. **ეშლი კოული** თითქმის გამოჯანმრთელდა. ვარჯიში განაახლა **ჯონ ტერიმ**. კაპიტანი მინდორზე დაბრუნებას აპირებს.

სანაკრებო კამპანიამ "ნიუკასლიც" დააზარალა. გასულ პარასკევს, ავსტრიასთან ამხანაგურ მატჩში **მაიკლ ოუენი** დაშავდა. ის გაურკვეველი ვადით ჩამოშორდა მინდორს. ჯორდები "ლივერპულს" უმასპინძლებენ. ლივერპულელთა შემადგენლობის გამოცნობა რთულია. უცნობია, ითამაშებს თუ არა **პიტერ კრაუჩი**, რომელიც ხორვატებთან მატჩში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მწყობრშია **ფერნანდო ტორესი**. ორთვიანი პაუზის შემდეგ სათამაშოდ ემზადება **დანიელ აგერი**. განაცხადში შეიყვანენ **ჰარი კიუელსაც**. "ნიუკასლს", ოუენის გარდა, წამყვანი მცველი სტივ ტეილორი გამოაკლდება. ეს უკანასკნელი ინგლისის ახალგაზრდულ ნაკრებში ყოფნისას დაშავდა. ვერ ითამაშებენ **ფაიე, კარი, კასაპა, ბაბაარო** და **დაფი**. ტრავმა მოიშუშა **შეი გივენმა** და აღარც **ნიკი ბატს** აქვს დისკვალიფიკაცია.

"ვესტ ჰემი" "ტოტენჰემთან" დერბის გამართავს. "მამლებს" **ხუანდე რამოსის** დანიშვნის შემდეგ არ ნაუგიათ. მათ **სტიდ მალკბრანკი** და **იუნეს კაბული** ჰყავთ დაშავებული. გამოჯანმრთელდა **გარეთ ბეილი**. ვერ ითამაშებენ **კინგი, როჩა, გარდნერი** და **ასუ-ეკოტო**. "ჩაქუჩებს" ოთხი წამყვანი ფეხბურთელი გამოუჯანმრთელდათ - **ეშტონი, პარკერი, ნობლი** და **მულინზი**. **კრეიგ ბელამი** საზარდულს მკურნალობს, **ლი ბოუიერს** კი, ტრავმის გარდა, დისკვალიფიკაციაც აქვს გამონერილი.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. არსენალი	12	9	3	0	27-10	30
2. მანჩესტერ იუნ.	13	9	3	1	23-6	30
3. მანჩესტერ სიტი	13	8	2	3	16-13	26
4. ჩელსი	13	7	4	2	19-9	25
5. ლივერპული	12	6	6	0	19-6	24
6. პორტსმუთი	13	6	5	2	23-13	23
7. ბლეკბერნი	12	6	4	2	15-11	22
8. ასტონ ვილა	12	6	3	3	18-14	21
9. ევერტონი	13	6	2	5	19-15	20
10. ვესტ ჰემი	12	5	3	4	18-10	18
11. ნიუკასლი	12	5	3	4	19-18	18
12. რედინგი	13	4	1	8	16-29	13
13. ფულჰემი	13	2	6	5	16-20	12
14. ტოტენჰემი	13	2	5	6	23-24	11
15. ბირმინგემ სიტი	13	3	2	8	13-20	11
16. სანდერლენდი	13	2	4	7	13-22	10
17. მიდლსბრო	13	2	4	7	12-23	10
18. ბოლტონი	13	1	5	7	11-18	8
19. ვიგანი	13	2	2	9	10-23	8
20. დერბი	13	1	3	9	5-31	6

ინტერვიუ ლიონელ მესისთან

რონალდინიო ნამდვილად განსაკუთრებული ადამიანია

არგენტინელ ვუნდერკინდს რეალის თამაში არ მოსწონს

"ბარსელონასთვის" ყველაზე მნეშვნელოვანი, ყველაზე ნიჭიერი, ყველაზე პოპულარული მოთამაშე - ამ ყველაფერს მან 20 წლის ასაკში მიაღწია. "ასის" ექსკლუზიურ ინტერვიუში ლეონელ მესი უარყოფს იმას, უკვე დაიპყრო საფეხბურთო ოლიმპის მწვერვალი. არგენტინელი რედაქციაში ძმასთან, როდრიგოსთან ერთად მივიდა. ლეო მუდმივად გრნობს ახლობლების მხარდაჭერას და მას ეს დიდ სიამოვნებას ანიჭებს. მათი მხარდაჭერით, დიდი შრომისმოყვარეობით და თანდაყოლილი ნიჭის წყალობით, მესი დღეს მსოფლიო ფეხბურთის უპირველესი ვარსკვლავი გახდა.

- ლეო, როგორ შეიცვალა თქვენი ცხოვრება მას შემდეგ, რაც პოპულარობის მწვერვალზე აღმოჩნდით?

- მადლიერებით, მაგრამ ამავდროულად, მშვიდად ვხვდები ამ ყველაფერს. ასეთი რამ ბუნებრივად უნდა აღიქვა.

- თქვენი თამაშით მთელი მსოფლიო აღფრთოვანებულია...

- შესანიშნავია, თუ შენ კარგად ასრულებ სამუშაოს და ადამიანებს ბედნიერებას ანიჭებ. ჩემი პროფესიის ყველაზე მომხიბვლელი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ შემიძლია გამარჯვებით გამოწვეული სიხარული დანარჩენებთან ერთად გავიზიარო. "ბარსელონას" ყველა ფეხბურთელი გრძნობს, რომ ხალხი ჩვენგან მხოლოდ გამარჯვებას ელის.

- ეს მედლის ერთი მხარეა, მაგრამ არსებობს მეორეც...

- ეს ის არის, რისი გადახდაც წარმატების სანაცვლოდ გიწევს. შენ უკვე მხოლოდ საკუთარ თავს აღარ ეკუთვნი, პოპულარული ხდები და ამაშია მთელი რისკი. მაგრამ, მე ძალიან მადლიერი ვარ ბარსელონელების, ისინი ძალიან ზრდილობიანები არიან და მოწიწებით მეპყრობიან. მადლობას ვეუბნები მათ ჩემდამი ასეთი დამოკიდებულებისთვის.

- მოგწონთ ავტოგრაფების დარიგება?

- რა თქმა უნდა, განსაკუთრებით ბავშვებისთვის. ადამიანები საათობით ელოდებიან, როდის გახვალ მათთან, ფოტოს გადაიღებ და ავტოგრაფს მისცემ. ეს მინიმუმია, რისი გაკეთებაც მათთვის შეგვიძლია. ჩვენ ვარსებობთ იმიტომ, რომ არსებობენ ისინი.

- უდიდესი პოპულარობა, მუდმივი ქება თქვენი მისამართით... ასე შეიძლება თავი დაკარგოთ...

- არა, მე ეს არ მემუქრება. ყოველთვის ვცდილობ მყარად ვიდგე მიწაზე და თავი არ დავკარგო. ამაში ჩემი უახლოესი ადამიანები მეხმარებიან, რომლებიც მაიძულებენ საღად შევაფასო სიტუაცია. მათი აზრი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩემთვის.

- როცა 17 წლისას დებიუტი გქონდა "ბარსელონაში", ოცნებობდი ასეთ პოპულარობაზე?

- რა თქმა უნდა, არა! ვოცნებობდი "ბარსაში" დებიუტზე, "ნოუ კამპზე" გოლის გატანაზე, ჩემპიონატის და ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე, მუნდიალზე ნაკრებთან ერთად ტრიუმფზე, მაგრამ არასოდეს იცი, ასრულდება თუ არა ეს ოცნებები. პროგრესი თანდათანობითი უნდა იყოს, რათა მოვლენათა ბუნებრივი სელა არ დაირღვეს.

- თქვენ ხომ მხოლოდ 20 წლის ხართ...

- ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა. უკვე ჩემი ბიოგრაფიაც კი დაწერეს.

- და სრულიად დამსახურებულად. სხვა საქმეა, რომ მალე ამ ბიოგრაფიის გადაწერა მოუწევთ. ამჟამად რაზე ოცნებობს ლეო მესი?

- იმაზე, რომ ჩემმა სამუშაომ სარგებლობა მოიტანოს, იმაზე, რომ ბევრს მივაღწიო ჩემს გუნდთან ერთად. ყოველთვის ვამბობ: ვთამაშობ არა მხოლოდ მე, არამედ მთელი გუნდი. ჩვენ ერთად ვიგებთ და ვაგებთ თამაშებს.

- "ბარსელონაში" ბედნიერი ხართ?

- ძალიან. აქ 13 წლის ასაკში მოვხვდი და უკვე მაშინ ვოცნებობდი იმაზე, თუ როგორ მოვიგებდი ტიტულებს მის შემადგენლობაში.

- ეს ოცნება რეალობად იქცა...

- ამით გამონვეული ბედნიერების განცდა არც მანამდე მაკლდა. მახსოვს, როგორი ბედნიერი ვიყავი, როცა ქვედა დივიზიონებში ვთამაშობდი, როცა "ბარსელონა B"-ში გადამიყვანეს, როცა პირველ გუნდთან ერთად აზიურ ტურნეში გავემგზავრე, როცა მის შემადგენლობაში გამპერის თასზე მქონდა დებიუტი. ყველაფერი კარგად მახოვს და ეს მოგონებები ძალიან სასიამოვნო და მნიშვნელოვანია ჩემთვის.

- თუმცა იყო ნარუმატებლობებიც და ტრავმებიც.

- ეს პროფესიის შემადგენელი ნაწილია. ძალიან ცუდად გადავიტანე კუნთის ტრავმა. გუნდი აღმავლობის გზაზე იყო, მოიგო ჩემპიონატი, ჩემპიონთა ლიგა, მე კი მას ვერ დავეხმარე. შემდეგ იყო ოპერაცია და მაშინაც ძალიან გამიჭირდა. ნებისმიერ შემთხვევაში, უფრო მტკიცე გავხდი და ახლა ყველაფერს სხვა თვალით ვუყურებ.

- შეიძლება იმის თქმა, რომ დღეს კარიერის საუკეთესო მომენტი გიდგათ?

- დიახ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შემდეგაც არ გავაგრძელებ პროგრესს. ყოველთვის არსებობს დახვენის შანსი, მაგრამ ღმერთს მადლობას ვუუბნები, რომ დღეს ჩემთვის ყველაფერი საუკეთესოდ ვითარდება.

- პირველ რვა მატჩში შვიდი გოლი გაიტანეთ, თანაც პამპლონაში მატჩი გამოტოვეთ...

- ისინი, ვინც დიდი ხანია მიცნობენ, იციან, რომ ყოველთვის ბევრი გოლი გამქონდა. როცა პატარა ვიყავი, ხშირად ვხდებოდი საუკეთესო ბომბარდირი.

- ყველაზე ძალიან გოლის გატანა მოგწონთ?

- გოლის გატანა ყოველთვის კარგია, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის ლამაზია და თანაც გადამწყვეტი. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ზუსტი პასის მიცემა, რომლის წყალობითაც შენი პარტნიორი ახერხებს კარის აღებას. თუმცა ყველაზე დიდი მნიშვნელობა მოგებას აქვს. თუ შენ გამარჯვებას ახერხებ, მნიშვნელობა არ აქვს, გოლი გაიტანე თუ არა. როცა აგებ და გოლის გატანის შანსს უშვებ ხელიდან, ფიქრობ იმ მომენტზე, როცა შეგეძლო ყველაფერი შენს სასარგებლოდ გადაგეწყვიტა.

- ჩემპიონატი თუ ჩემპიონთა ლიგა. რომლის მოგება უფრო გსურთ?

- ერთიც და მეორეც. ყველაფრის მოგება მინდა. ქვეყნის თასის, ამხანაგური მატჩების... ჩვენ შესანიშნავი გუნდი გვყავს იმისთვის, რომ ყველა მიზანს მივაღწიოთ.

- წლევანდელი სეზონის მსვლელობაზე რა აზრის ხართ?

- კარგ ფეხბურთს ვაჩვენებთ. შემადგენლობის ჩამოყალიბების ფაზა გავიარეთ, რაც თან ახლავს ხოლმე ნებისმიერი სეზონის სტარტს. შემდეგ იყო ბევრი ტრავმა, რამაც ასევე იმოქმედა გუნდზე, მაგრამ ჩვენ საკმარისად დიდი და ძლიერი გუნდი გვყავს იმისთვის, რომ ეს პრობლემა ნაკლებად დაგვტყობოდა.

- მთელი ბარსელონა თქვენს ჯანმრთელობაზე ლოცულობს.

- არა, არა. მთავარია გუნდისთვის ილოცონ.

- თავმდაბლობა საჭირო არ არის. ქალაქი "მესიმანიით" არის შეპყრობილი.

- ეს არასწორია. ყველა ერთნაირად მნიშვნელოვანია გუნდისთვის. ერთი კარგად თამაშობს ამ მატჩში, მეორეს შემდეგ შეხვედრაში გამოუვა. სრულყოფილი და უცოდველი არავინაა.

- თავს ლიდერად გრძნობთ?

- ოდნავ უფრო მეტად, ვიდრე ადრე.

- არ გეჩვენებათ, რომ გუნდი არასტაბილურად თამაშობს?

- შეუძლებელია, ყველა მატჩი მოიგო. ჩემპიონთა ლიგაზე წარმატებით მივდივართ წინ, "რეალს" თითქმის დავეწიეთ. ზოგიერთ შეხვედრაში ჩავარდნა გვქონდა, რაც სავსებით ნორმალურად მიმაჩნია.

- მალე გამოვლინდება "ოქროს ბურთისა" და ფიფას პრიზის ლაურეატი. თქვენ ორივე ჯილდოზე ნომინირებული ხართ.

- ეს ძალიან პრესტიჟული ჯილდოებია და მსიამოვნებს, რომ პრეტენდენტთა რიცხვში მოვხვდი, მაგრამ მათი მოპოვების მანიით არ ვარ შეპყრობილი. პროგრესი თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯი უნდა განიცადო და პრიზებზე არ უნდა იფიქრო. თუ გამარჯვებულად დამასახელებენ, კარგი იქნება, თუ არა და, მუშაობას გავაგრძელებ.

- ყველა კაკას ფავორიტობაზე საუბრობს.

- ეს ნორმალურია. ის უდიდესი ფეხბურთელია, რომელმაც ჩემპიონთა ლიგა მოიგო. თუმცა ლაურეატობას ნებისმიერი ნომინირებული ფეხბურთელი იმსახურებს.

- ბუნებრივია, თქვენი კიდევ ერთი ოცნება მსოფლიო თასი მოგება იქნება.

- ჩემი გული "ბარსელონას" და არგენტინის ნაკრებს ეკუთვნის. მინდა ამ გუნდებთან ერთად ყველაფერი მოვიგო. დიახ, მსოფლიო თასი ჩემი ოცნებაა.

- მოდით რონალდინიოზე ვისაუბროთ. თქვენ ყოველთვის იცავთ მას, აცხადებთ, რომ ბრაზილიელთან მეგობრული ურთიერთობა გაქვთ...

- რონალდინიო განსაკუთრებული ადამიანია ჩემთვის. მას შემდეგ, რაც პირველ გუნდში მოვხვდი, ის განსაკუთრებულად მეპყრობოდა. მისგან ძალიან დიდ მხარდაჭერას ვგრძნობდი, მუდმივად რჩევებს მაძლევდა და ყოველთვის ჩემს გვერდით იყო, როცა რაიმე მიჭირდა.

- დღეს რონალდინიო თამაშისადმი დამოკიდებულების გამო კრიტიკას იმსახურებს...

- დღესაც კი, მას მარტო შეუძლია ნებისმიერი მატჩის ბედის გადაწყვეტა. დრიბლინგი, დარტყმა... რონალდინიო ჩვენი გუნდის უმნიშვნელოვანეს ფიგურად რჩება. მე მას კვლავინდებურად საუკეთესოდ მივიჩნევ მსოფლიოში.

- ამ სეზონში, "ბარსელონას" რიგებში კიდევ ერთი ბრწყინვალე ფეხბურთელი გამოჩნდა - ტიერი ანრი.

- მას გარკვეული დრო დასჭირდა ჩვეული სათამაშო დონის მისაღწევად. ის სხვა ქალაქში, სხვა კლუბში გადავიდა, მოუნია შეჩვეოდა თამაშის სხვა სტილს. ის აქ დიდი გამარჯვებებს მიაღწევს.

- თქვენ "ბარსაში" მაშინ მოხვედით, როცა მას უკვე ფრანკ რაიკაარდი წვრთნიდა.

- რაიკაარდმა ამ დროის განმავლობაში ბევრი გააკეთა ჩემთვის. ის აუცილებელ რჩევებს მაძლევდა და წინ მიმიძღოდა. მე მისი ყოველთვის მადლიერი ვიქნები.

- მაგრამ ის, რაც გასახდელში ხდება, არავისთვის არ არის ცნობილი.

- ფრანკი ამას ყოველთვის კარგად ართმევდა თავს. გუნდის ყველა წარმატება ძირითადად იმასთანაა დაკავშირებული, რომ მან შეძლო ჩვენს შორის ბრწყინვალე ურთიერთობების დალაგება. რაიკაარდს ეს ძალიან კარგად გამოსდის.

- "ბარსელონა" "რეალს" ჩამორჩება. როგორ მოგწონთ წელს მადრიდელთა თამაში?

- მეტ-ნაკლებად. ისევე როგორც გასულ სეზონში, ისინი კარგად არ თამაშობენ, მაგრამ იგებენ. ეჭვგარეშეა, "რეალი" ჩვენი მთავარი მეტოქე იქნება.

- კიდევ რომელ გუნდებს მიიჩნევთ კონკურენტებად?

- "ვალენსიას", "ატლეტიკოს", "ვილიარეალს", რომლებსაც კარგი ტემპი აქვთ აღებული და მათზე უკეთესად უნდა ვითამაშოთ, რომ ჩემპიონის ტიტული მოვიპოვოთ.

ილია ნიკოლაიშვილი

ლეო მესი და ტიერი ანრი რონალდინიოს ულოცავენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XIII ტურის წინ

რეალი მორიგი გამარჯვებისთვის ემზადება

დღეს

სევილია-ვალიორკა
ბარსელონა-რეკრეატივო
მურსია-რეალი

ხვალ

ვილიარეალი-ალმერია
ატლეტიკო-ვალიადოლიდი
ლევანტე-ბეტისი
ოსასუნა-ესპანიოლი
ბილბაო-დეპორტივო
რასინგი-ვალენსია
სარაგოსა-ხეტაფე

სამეფო კლუბს გასვლით შეხვედრაში "მურსიასთან" მოუწევს დაპირისპირება. სანაკრებო შეხვედრების გამო **ბერნდ შუსტერს** შეგირდების სრულ შემადგენლობასთან ერთად მუშაობის საშუალება თითქმის ორი კვირის განმავლობაში არ მიცემია. მიუხედავად ამისა, დედაქალაქელთა გერმანელი სპეციალისტი გუნდის მზადყოფნით კმაყოფილია. მართალია, რამდენიმე მოთამაშე გადაიღალა, მაგრამ ყველამ იცის, რომ სამეფო კლუბის ვარსკვლავებს ნებისმიერ წამს შეუძლიათ მატჩის ბედი გადაწყვიტონ. სწორედ ამის იმედადაა ჰერ ბერნდი. თუმცა, ვერც იმას ვიტყვით, რომ გუნდი დემორალიზებულია. პირიქით, დედაქალაქელებს შესაძლოა საკვირაო მატჩში **არიენ რობენი** დაუბრუნდეს. მოსალოდნელია **რუუდ ვან ნისტელროის** გამოჩენაც. ჰოლანდიელმა ფორვარდმა ნაკრებში მიღებული ტრავმების შემდეგ ვარჯიში განაახლა. თუ გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდება, მას ძირითად შემადგენლობაში დააყენებენ, რასაც ვერ ვიტყვით **გაბრიელ ჰაინცეზე**. არგენტინელი ქუსლის ტრავმის გამო ბურთთან შეხებასაც ვერ ახერხებდა. სრული რეაბილიტაციისთვის მას კიდევ 10 დღე დასჭირდება. გემახსოვრებათ, ჰაინცემ სანაკრებო ვარჯიშის დროს იტკინა ფეხი. გაბრიელს **მაქსი როდრიგესი** დაუნდობლად შეასკდა და ლაზარეთში ამოჰყო თავი. სხვამხრივ შუსტერს პრობლემები არ ემუქრება. ის ოპტიმისტურადაა განწყობილი და სჯერა, რომ გასვლითი თამაში სასიხარულოდ დასრულდება. აი, რას ამბობს გერმანელი: *"სანაკრებო პაუზის გამო 10 დღის განმავლობაში შეგირდებთან სრულყოფილად მუშაობას ვერ ვახერხებდი. კაცმა რომ თქვას, ერთადერთი გამონაკლისი მე არ ვყოფილვარ. სანაკრებო პაუზა ყველა გუნდს შეეხო. ვისურვებდი, მორიგი თამაში ისევე დამაჯერებლად ჩავატაროთ, როგორც პრიმერა დივიზიონის წინა გამორჩეულ ტურებში ვიასპარეზეთ. საზოგადოებას თავდაუზოგავ შრომას ვპირდებით."*

გუშინ გვიან ღამით ცნობა გავრცელდა, რომ ფაბიო კანავაროს ტრავმა გაუმიზეზდა. თუ ასეა, იტალიელი ვეტერანი დღეს მოედანზე გასვლას ვერ შეძლებს.

ჯერ კიდევ ორი კვირის წინ ესპანურ პრესაში "ბარსელონაში" არსებული უდიდესი დაპირისპირების შესახებ წერდნენ. თავიანთი არგუმენტის გასამყარებლად ისინი "რეკრეატივოსთან" მატჩში **რონალდინიოს** ძირითადი შემადგენლობიდან შესაძლო ამოვარდნას იშველიებდნენ. არადა, ამის შესახებ თავად კატალონიური გრანდის მესვეურებმა განაცხადეს, სანაკრებო ბატალიებით გადაღლილ გაუჩოს დასვენება დასჭირდებაო. მაშინ წერდნენ, "ბარსას" მე-10 ნომერს განაცხადში საერთაოდ არ შეიყვანენო. შესაძლოა, გაუჩო სიაში მაინც მოხვდეს, მაგრამ ძნელად წარმოსადგენია, რომ **ფრენკ რაიკაარდმა** ძირითად შემადგენლობაში დააყენოს. პრესის ერთადერთი ამოცანა, როგორც ჩანს "ბარსას" ბანაკში დესტაბილიზაციის შეტანა იყო. მთავარი მწვრთნელის მეცადინეობით მათ მიზანს ვერ მიაღწიეს. რონალდინიო დაარწმუნეს, რომ მისი საწინააღმდეგო არაფერი აქვთ. გამორიცხული არ არის, სამხრეთამერიკელმა ვარსკვლავმა უელველებთან შესვლაზე მაინც ითამაშოს. მთლიანობაში რაიკაარდს 18 ფეხბურთელი დაეხმარება. რონალდინიოს მსგავსად მას **ლილიან ტურამის** იმედიც არა აქვს. ვეტერანმა ფრანგმა ეროვნულ გუნდში საკმაოდ მძიმე თამაში ჩაატარა. ექიმები ამბობენ, რომ მან ძალების აღდგენა ვერ მოასწრო. ანალოგიური პრობლემა აქვს **ჯოვანი დოს სანტოსსაც**. თინეიჯერმა მექსიკელმა ეროვნულ გუნდს მთელი ენერგია მოახმარა და ისიც ძალიან დაიღალა. დაღლილობას რომ თავი დავანებოთ, ჯოვანიმ მიკრო ტრავმაც მიიღო. ალბათ, ყველას გახსოვთ, რომ **სამუელ ეტოო, დეკუ** და **ედმილსონი** აქამდეც ტრავმირებულები იყვნენ და კატალონიელებს ვერაფერში ეხმარებოდნენ. ჟურნალისტების ინფორმაციით, განაცხადში შემდეგი მოთამაშეები მოხდნენ: **ვალდესი, ჟორკერა, პუიოლი, ოლეგერი, გაბი მილიტო, რაფა მარკესი, ძამბროტა, აბიდალი, სილვინიო, ტურე, ჩავი, ინესტა, გუდიონსენი**, რონალდინიო, **მესი, ანრი, ესკერო** და **ბოიანი**.

რუუდ ვან ნისტელროი და კომპანია გაჩერებას არ აპირებს

"ატლეტიკოს" უკლებლივ ყველა ფეხბურთელი დარწმუნებულია, რომ "ვალიადოლიდს" განსაკუთრებული პრობლემების გარეშე დაამარცხებენ. დედაქალაქელებს ოპტიმიზმის საფუძველს **ხავიერ აგირეს** მიერ შეკრებილი ოპტიმალური შემადგენლობა აძლევს. აქამდე საეჭვო იყო **აგუეროსა** და მაქსი როდრიგესის თამაში, თუმცა არგენტინელებმა "ალბისელესტედან" დაბრუნების შემდეგ მიკროტრავმები მოიშუშეს. თუ მათი მექსიკელი მთავარი მწვრთნელი საჭიროდ ჩათვლის, **სერხიო** და **მაქსი** ძირითადში იასპარეზებენ.

ოპტიმიზმი "ვალიადოლიდსაც" არ აკლია. გეცოდინებათ, რომ კასტილიური კლუბის სპორტული დირექტორის თანამდებობაზე წარსულში გენიალური ფეხბურთელი, **ხოსე ლუის პერეს კამინერო** მუშაობს. ყველაზე დიდ ნარმატებებს კამინერომ სწორედ "ატლეტიკოში" მიაღწია. ახლა კი აცხადებს, "როხიბლანკოში" შექმნილ სიტუაციას ძალიან კარგად ვიცნობ და ანალიზის საფუძველზე იმ დასკვნამდე მივედი, რომ "ვისენტე კალდერონზე" გამარჯვება ნამდვილად შეგვიძლიაო. მის სულისკვეთებას მთავარი **მწვრთნელი ხოსე მენდილიბარიც** იზიარებს. ესპანელი მიმომხილველები კი ფიქრობენ, რომ "ვისენტე კალდერონზე" ტურის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო შეხვედრა შედგება.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. რეალი	12	9	1	2	29-12	28
2. ვილიარეალი	12	9	0	3	25-18	27
3. ბარსელონა	12	7	3	2	23-10	24
4. ვალენსია	12	8	0	4	20-19	24
5. ესპანიოლი	12	6	4	2	17-13	22
6. ატლეტიკო	12	6	3	3	23-14	21
7. რასინგი	12	5	5	2	10-9	20
8. სარაგოსა	12	5	2	5	19-19	17
9. მალიორკა	12	4	4	4	21-19	16
10. სევილია	11	5	0	6	23-17	15
11. ხეტაფე	12	4	2	6	13-15	14
12. ბილბაო	12	3	4	5	10-14	13
13. მურსია	12	3	4	5	8-13	13
14. ვალიადოლიდი	12	3	4	5	16-22	13
15. ოსასუნა	11	3	3	5	13-14	12
16. ალმერია	12	3	3	6	10-14	12
17. დეპორტივო	12	3	3	6	10-17	12
18. რეკრეატივო	12	3	3	6	8-15	12
19. ბეტისი	12	2	5	5	10-16	11
20. ლევანტე	12	1	1	10	6-24	4

ინტერვიუ კარლოს ალბერტო პარეირასთან

რაც შეიძლება მეტი ამხანაგური თამაში უნდა ჩავატაროთ

მომავალი მუნდიალის მასპინძლები ტურნირისათვის მზადებას იწყებენ...

კარლოს ალბერტო პარეირა ერთ-ერთი გამორჩეულ მწვრთნელთაგანია, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონატებზე დასკვნით ტურნირებში ყველაზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული. ამასთან, სხვადასხვა ქვეყნის ნაკრებებთან ერთად. ყველაზე დიდი ბედნიერება მისთვის, რა თქმა უნდა, 1994 წელს უკავშირდება, როდესაც ბრაზილიას მსოფლიო თასი მოაგებინა. ფეხბურთის გულშემატკივრებს კარგად მოეხსენებათ, რომ სეუ პარეირა ამჟამად სამხრეთი აფრიკის ეროვნულ გუნდს ავარჯიშებს. შეხსენებას არ საჭიროებს, რომ "ბაფანა ბაფანა" 2010 წლის მსოფლიო პირველობის მასპინძელი იქნება. ეს ფაქტი პარეირასა და მის შეგირდებს უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს. არცთუ დიდი ხნის წინ სამხრეთაფრიკელებმა COSAFA-ს თასი მოიპოვეს. პარეირასთან ინტერვიუ სწორედ ამ თემაზე საუბრით იწყება.

- სეუ პარეირა, ეს-ეს არის, COSAFA-ს თასი მოიპოვეთ. ალბათ, ენთუზიაზმით აღსავსე ხართ...

- გამარჯვება ყოველთვის მნიშვნელოვანია. ვერავინ იტყვის, რომ ასეთ წარმატებას სპონტანურობით მიაღწევ. პირველ რიგში საქმის ორგანიზებაა საჭირო, შემდეგ გეგმის შედეგენა, ბოლოს კი ამ ყველაფრის რეალიზებისთვის ბევრი უნდა იმუშავო. ბედნიერი ვარ, რომ ეს შევძელით.

- რა ცვლილებების შეტანას ისურვებდით სამხრეთაფრიკულ ფეხბურთში?

- ამ ცხოვრებაში ცვლილებების განხორციელება ძალიან ძნელია. ზოგადად, რთულია სათამაშო ფილოსოფიის შეცვლა. ჩემი აზრით, სამხრეთ აფრიკამ ბურთთან ურთიერთობაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება, ისევე, როგორც ბრაზილიამ, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მითხრეს, რომ აქაურებს ასეთი ფეხბურთი არ მოსწონთ. აღმოვაჩინე, რომ აქ აბსოლუტურად განსხვავებული კულტურაა. "მამელოდისა" და "კაიზერ ჩიპსის" დაპირისპირებას ვუყურე. გაოგნებული დავრჩი. "მამელოდის" კაცი გაუგდეს, მაგრამ მაინც 2:1 მოიგო. გუნდი მთელი თამაშის განმავლობაში შესანიშნავად აკონტროლებდა ბურთს. ამ სანახაობის შემხედვარე გულშემატკივრები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. სწორედ ასეთი ფეხბურთი ახარებს საზოგადოებას. წარმოდგენა არ მაქვს, ვიღაც-ვიღაცებმა საპირისპირო რამ რატომ მითხრეს.

- თქვენი ნაკრების შემადგენლობას თვალს თუ გადავავლებთ, აღმოვაჩენთ, რომ მოთამაშეთა დიდმა ნაწილმა კრიტიკულ ასაკს გადააბიჯა. სავადაუდოა, რომ 2010 წლის მუნდიალზე მათ ძალიან გაუჭირდებათ. საინტერესოა, ახალი ფეხბურთელების მოძიებას ხომ არ ცდილობთ?

- სხვათაშორის, COSAFA-ს თასის წყალობით რამდენიმე ახალი სახე აღმოვაჩინეთ. დასამალი არ არის, რომ ბრაზილიელი კოლეგებისგან განსხვავებით, სამხრეთაფრიკელები უფრო გვიან ბრძენდებიან. მაგალითად, ჩემს სამშობლოში 19-20 წლის მოთამაშე ფაქტობრივად სრულყოფილებას აღწევს, აქ კი 24-25 წელი მაინც არის საჭირო. COSAFA-ს თასს დავუბრუნდები. რამდენიმე ძალიან ნიჭიერ ახალგაზრდასთან მუშაობის საშუალება მომეცა. გულწრფელად ვიტყვი, რომ ყმაყოფილი ვარ. განსაკუთრებით, ზამბიასთან მოპოვებული გამარჯვება მომეწონა. თამაშის სცენარი ცხადყოფდა, რომ მხოლოდდამხოლოდ საუკეთესო შეძლებდა მოგებას. ასეც მოხდა. ახალგაზრდები ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რათა დავერწმუნებინეთ, რომ ეროვნულ გუნდში თამაშს იმსახურებენ. 2010 წლამდე საკმაოდ დიდი დროა. ამხანაგურ თამაშებს უხვად ჩავატარებთ. ახალგაზრდებს შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსს კიდევ ერთხელ მივცემთ, და დასკვნებსაც გამოვიტანთ.

- 2008 წლის დასაწყისში აფრიკის ეროვნებათა თასის გათამაშება დაიწყება. ძალიან მაინტერესებს, ამ ტურნირს როგორ აფასებთ და რა მიზნებს ისახავთ?

- სხვათაშორის, ჯერ-ჯერობით ერთადერთი აფრიკული გუნდი ვართ, რომელსაც 2010 წლის მუნდიალზე ასპარეზობის უფლება გააჩნია. ცხადია, მასპინძლის სტატუსის გამო, მაგრამ ისიც გვახსოვს, რომ წინა შესარჩევ რაუნდში კონტინენტური ფეხბურთის გრანდებმა - კამერუნმა და ნიგერიამ თავი ვერაფრით გამოიჩინეს და მუნდიალის საგზური დაკარგეს. მას შემდეგ ეს გუნდები შანსს ხელიდან არ უშვებენ დაამტკიცონ, რომ ეს ყველაფერი შემთხვევითობა იყო და აფრიკის საუკეთესო კოლექტივები არიან. შევეცდებით, ისინი საპირისპიროში დავარწმუნოთ.

კარლოს ალბერტო პარეირა

- როგორ ფიქრობთ, რა არის საჭირო იმისთვის, რომ ტრიუმფალური ნაკრები ჩამოაყალიბოთ?

- ამისათვის ბევრი რამ არის საჭირო, მაგალითად, ახალგაზრდული ლიგა. რონალდინიო ყველას მოგვწონს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ კლუბში თამაში მას 5 წლის ასაკიდან დაიწყო, რონალდო 7-ის გახლდათ. 15-17 წლის შემდეგ კი ორივე მათგანი "სელესაოს" ლიდერი გახდა. საქმე ის არის, რომ ჩემი თანამემამულეები შეჯიბრებებსა და კონკურენციას ბავშვობიდანვე შეეჩვევნენ. იგივეს ვიტყოდი ზიკოსა და ფალკაოს შესახებაც. სამწუხაროდ, სამხრეთ აფრიკაში საქმისადმი მსგავსი მიდგომა არ არსებობს. არადა, კარგი იქნებოდა წამყვანი გრანდების გამოცდილება გაეზიარებინათ.

- სამხრეთმა აფრიკამ ფიფას რეიტინგში მდგომარეობა გაიუარესა. ეს ფაქტი ხომ არ გაღელვებთ?

- სიმართლე გითხრათ, არ მაინტერესებს 5 ქულით ნაკლები გვექნება თუ მეტი. ვცდილობთ, ამხანაგური შეხვედრები წამყვან ნაკრებებთან ჩავატაროთ, რადგან ჩვენ არა სარეიტინგო ქულებზე, არამედ გამოცდილების დაგროვებაზე ვმუშაობთ. მთავარია, გლობალური მიზნების მიღწევა შევძლოთ. ფიფას რეიტინგს კი როგორმე მოვინელებთ. სხვათაშორის, თუ პრინციპულ თამაშებს მოვიგებთ, ქულებსაც დაგვიწერენ და ცხრილში წინაც წავიწევთ. მოკლედ, 2010 წლის მუნდიალის მზადების პროცესში არაერთი შესანიშნავი შესაძლებლობა გვაქვს იმისთვის, რომ გავძლიერდეთ და ავტორიტეტი მოვიპოვოთ.

- უახლოეს გეგმებზე რას გვეტყვით?

- ცოტა შორიდან დავიწყებ და მოგახსენებთ, რომ აქ მუშაობის საწყისი ორი წლის განმვალობაში უამრავი ფეხბურთელი გამოვცადე. მეტის გამოცდა ფიზიკურად შეუძლებელი იქნებოდა. ფედერაციის მაღალჩინოსნების მუშაობის წყალობით, ძლიერ მეტოქეებთან ამხანაგური მატჩები არ გვაკლდა. იმედია, მომავალშიც ასე იქნება. მომდევნო ორი წლის განმვალობაში ძველ გამოცდილებას გავიზარებ და 2009 წლის ბოლომდე ძალიან ბევრ ამხანაგურ შეხვედრაში ვითამაშებთ. აი, ეს არის ჩემი მთავარი გეგმა. რაც შეიძლება მეტი მატჩი! მუშაობის პროცესში პრიორიტეტები გამოჩნდება.

ილია ნიკოლაიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XIV ტურის წინ

მაგათს შურისძიება სწყურია

დესპოტი ფელიქსის მგლეგი გაიერნს ემუქრებიან...

გუშინ

კარლსრუე-პერგა

დღეს

ბაიერნი-ვოლფსბურგი
ლევერკუზენი-დუისბურგი
ბოხუმი-არმინია
ჰანოვერი-შალკე
კოტბუსი-ვერდერი
აინტრახტი-შტუტგარტი

ხვალ

ნიურნბერგი-ბორუსია (დ)
ჰამბურგი-პაზა

სანაკრებო პერიპეტიები დასრულდა და ევროპა საკლუბო ფეხბურთს უბრუნდება. ბუნდესლიგის მორიგი, მე-14 ტური გუშინ „კარლსრუესა" და „ჰერტას" დაპირისპირებით დაიწყო. პირველი ნრის დასრულებამდე და ზამთრის შესვენების დაწყებამდე, ამ ტურის ჩათვლით 4 ტურია დარჩენილი. ტურის ყველაზე საინტერესო დაპირისპირება დღეს მიუნხენში გაიმართება: „ბაიერნი" **ფელიქს მაგათის** „ვოლფსბურგს" მასპინძლობს და იმედია, შეხსენებას აღარ საჭიროებს ის ფაქტი, თუ რატომ უნდა ამოძრავებდეს „დესპოტ ფელიქსს" რეკორდმაისტერზე შურისძიების სურვილი.

„ბაიერნმა" ბოლო მატჩის შემდეგ მძიმე დღეები გადაიტანა: ჯერ **კარლ-ჰაინც რუმენიგე ოტმარ ჰიტცფელდს** აკრიტიკებდა, მერე **ული ჰიონესმა** მიუნხენური გუნდის ფანებს შეუტია, ახლა კი, როგორც იქნა, „ბაიერნის" უმთავრესი თემა ისევ ფეხბურთია და არა დისკუსიები, რამაც რეკორდმაისტერს კარგი არაფერი მოუტანა. ბავარიელებმა სამმატჩიანი მოუგებელი სერია გამოაცხვეს, რითაც მდევრებს ერთი ქულის დისტანციაზე მიახლოვების უფლება მისცეს. „ვერდერი" და „ჰამბურგი" „ბაიერნს" ახლა სწორედ ერთი ქულით ჩამორჩებიან და შესაბამისად, მიუნხენური კლუბი ვალდებულია, „ვოლფსბურგი" დაამარცხოს – FCB წნეხის ქვეშაა მოქცეული. ჩვენ დასაკარგი არაფერი გვაქვსო, ამბობს მაგათი და თავის შეგირდებს მაქსიმალური კონცენტრაციისკენ მოუწოდებს. „მგლებს" მართლაც არაფერი აქვთ დასაკარგი, რადგან ბოლო ორი თამაში დათმეს და ისინიც ვალდებულები არიან, მხოლოდ წარმატებაზე იფიქრონ. აქვე გეტყვით, რომ დიდი შანსია, „ბაიერნს" **ფრანკ რიბერი** გამოაკლდეს. ფრანგს ტრავმა აწუხებს და მისი თამაში კითხვის ნიშნის ქვეშაა.

მეორე ადგილზე მყოფი „ვერდერი" აუტსაიდერ „კოტბუსს" სტუმრობს. ბრემენელები, რა თქმა უნდა, ფავორიტად მიიჩნევიან, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ „მუსიკოსებს" პრობლემები აქვთ. როგორც იცით, **უგო ალმეიდა** ტრავმირებულია და მისი თამაში გამორიცხულია. ბრემენელთა მთავარ მწვრთნელ **თომას შააფს** იმედი ჰქონდა, რომ **ბუბაკარ სანოგო** დაბრუნდებოდა, მაგრამ ამ საქმიდანაც არაფერი გამოდის, რადგან შააფი იძულებული გახდა, სანოგო დაესაჯა. საქმე იმაშია, რომ კოტ დ'ივუარელი თავდამსხმელი ბრაზილიალ **კარლოს ალბერტოს** ეჩხუბა (ამ ფაქტზე ცალკე მასალაში უფრო დაწვრილებით მიგითხრობთ), რის გამოც შააფმა ორივე ფეხბურთელი განაცხადს მიღმა დატოვა. კოტბუსელებს დაცვის ბურჯი **კუკიელკა** არ ეყოლებათ, ეს უკანასკნელი ტრავმირებულია.

უაღრესად საინტერესო მატჩი უნდა გაიმართოს ჰანოვერში, სადაც „შალკე" ჩადის. „წითლები" და გელზენკირხენელები სატურნირო ცხრილში ერთმანეთის მეზობლები არიან და ამ მხრივ, ეს მატჩი „შალკესთვის" უაღრესად მნიშვნელოვანია. „შალკემ" ეს თამაში რომ წააგოს, მეხუთე ადგილსაც ძალიან ჩამორჩება, რაც **ლევან კობიაშვილის** გუნდისთვის კრიზისის ტოლფასი იქნება. აღსანიშნავია, რომ გელზენკირხენელთა მთავარი მწვრთნელი **მირკო სლომკა** ჰანოვერელია. თანაც, მირკო 1989-დან 2004 წლამდე ამ გუნდში მოღვაწეობდა. „შალკეს" **კევინ კურანი** გამოუჯანმრთელდა და ის დღეს აუცილებლად ითამაშებს.

ფრანკფურტის „აინტრახტი" გამოსწორების გზაზე დამდგარ „შტუტგარტს" უმასპინძლებს. იმ დროს, როცა ჰესენელებმა ზედიზედ სამი ფრე ითამაშეს, ჩემპიონებმა ზედიზედ სამი თამაში მოიგეს, რომელთაგანაც, განსაკუთრებით აღსანიშნავი ბოლო შეხვედრაა, რომელშიც VFB-მ „ბაიერნს" მიმდინარე სეზონში პირველი მარცხი აგება. *„ფრანკფურტში მოსაგებად მივდივართ!"* – ამბობს შვაბთა ცენტრალური მცველი **სერდარ ტასკი**, ოღონდ მიიღებს თუ არა თვითონ ამ მატჩში მონაწილეობას, ეს ჯერ კიდევ უცნობია - მცირე ტრავმა აწუხებს.

მეხუთე ადგილზე მყოფი „ლევერკუზენი" ბოლოდან მეორე პოზიციაზე მყოფ „დუისბურგს" მასპინძლობს და აღსანიშნავია, რომ „ზებრებთან" ერთად ფარმაცევტების ქალაქში ბრაზილიელი მცველი **როკე ჟუნიორიც** მიემგზავრება, რომელიც ზაფხულამდე სწორედ „ლევერკუზენის" ღირსებას იცავდა. თუმცა **როკე ჟუნიორის** თამაში კითხვის ნიშნის ქვეშაა. დღესვე „ბოხუმი" ბილეფელდის „არმინიას" მიიღებს და ეს მატჩი ელიტაში დარჩენისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტების დაპირისპირებაა.

„ბაიერნის" მეორე მდევარი „ჰამბურგი" კი ხვალ თამაშობს – HSV როსტოკის „ჰანზას" უმასპინძლებს. ეს გახლავთ „ჰამბურგის" პირველი მატჩი მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ სეზონის დასრულებისთანავე **ჰუუბ სტევენსი** ჩრდილოგერმანულ კლუბს დატოვებს და „ეინდჰოვენის" დამრიგებელი გახდება. შესაბამისად, ყველას აინტერესებს, თუ რა და როგორ იქნება „ჰამბურგში" მას მერე, რაც გაირკვა, რომ სტევენსი ზაფხულში გუნდს დატოვებს. HSV-ს მცველი **ბასტიან რაინჰარდტი** დარწმუნებულია, რომ ეს ამბავი გუნდში დისონანსს არ შეიტანს. *„ჩვენ გვინდა, რომ სტევენსს დარჩენილ დროში სამაგიერო გადავუხადოთ იმ ყველაფრისთვის, რაც მან ამ ხნის მანძილზე გაიკეთა,"* – ამბობს 32 წლის მცველი.

ხვალვე, გერმანიის თასის კრიზისში მყოფი მფლობელი „ნიურნბერგი" დორტმუნდის „ბორუსიას" მიიღებს და ფრანკებს უნდათ, რომ მძიმე მდგომარეობას თავი ამ შეხვედრის მოგებით დააღწიონ. „ნიურნბერგი" გასავარდნ ზონაშია და სამშვიდობოს მყოფებს შორის ყველაზე უარესს, „ჰანზას" უკვე 5 ქულით ჩამორჩება, რაც **ჰანს მაიერის** გუნდისთვის, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან ცუდი შედეგია. არადა, ყველას გვახსოვს შარშანდელი „ნიურნბერგი" – მებრძოლი, დაუნდობელი და გრანდების მკვლელი გუნდი, რომელსაც მიმდინარე სეზონში არცერთი ეს თვისება აღარ გამოუმჟღავნებია. საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია „დორტმუნდიც", რომლისთვისაც ასევე არ შეიძლება ამ თამაშის წაგება, რადგან BVB გასავარდნ ზონასთან ძალიან ახლოსაა. ვესტფალიელთა მთავარი მწვრთნელის, **თომას დოლის** თქმით, მისი გუნდის მთავარი პრობლემა საგოლე მომენტების გამოყენების დაბალი პროცენტია – ბოლო შეხვედრებში დორტმუნდელებმა მართლაც ძალიან ბევრი შანსი გაანიავეს.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ბაიერნი	13	8	4	1	28-7	28
2. ვერდერი	13	8	3	2	30-17	27
3. ჰამბურგი	13	8	3	2	20-10	27
4. კარლსრუე	13	7	2	4	14-15	23
5. ლევერკუზენი	13	6	3	4	20-10	21
6. ჰანოვერი	13	6	3	4	17-17	21
7. შალკე	13	4	7	2	18-12	19
8. ჰერტა	13	6	1	6	17-17	19
9. შტუტგარტი	13	6	1	6	16-19	19
10. აინტრახტი	13	4	6	3	13-15	18
11. ვოლფსბურგი	13	4	4	5	22-23	16
12. ბოხუმი	13	4	3	6	20-22	15
13. ბორუსია (დ)	13	4	3	6	18-22	15
14. არმინია	13	4	3	6	16-28	15
15. ჰანზა	13	4	2	7	14-18	14
16. ნიურნბერგი	13	2	3	8	16-24	9
17. დუისბურგი	13	3	0	10	12-21	9
18. კოტბუსი	13	1	5	7	10-24	8

ინტერვიუ ფელიქს მაგათთან

ჰიტცფელდის არ მშურს და ნაწყენიც არ ვარ!

ფელიქსი ჰიონესს, რუმენიგეს და ბეკენბაუერს ხელს მეგობრულად ჩამოართმევს...

დღეს „ბაიერნი"-„ვოლფსბურგია". მგლების დამრიგებელი ფელიქს მაგათი მიუნხენში მტრის რანგში ბრუნდება. შეგახსენებთ, რომ დესპოტი ფელიქსი რეკორდმაისტერს 2004 წლის ივლისიდან 2007 წლის თებერვლამდე წვრთნიდა და გასულ ზამთარს პოსტიდან გაათავისფუფლეს. მერე კი, „ბაიერნის" ბოსებმა მის შემცვლელ ოტმარ ჰიტცფელდს შესანიშნავი ფეხბურთელები უყიდეს. გუშინ „ბილდმა" მაგათის ინტერვიუ გამოაქვეყნა.

- ჰერ მაგათ, რამდენად კარგად გახსოვთ ის დღე, როცა „ბაიერნის" ხელმძღვანელებმა თქვენი გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღეს?

- ასეთი დღეები ადამიანებს არასდროს ავიწყდებათ და ამ შემთხვევაში, არც მე ვარ გამონაკლისი. დიახ, თებერვლის ის დღე ძალიან კარგად მახსოვს.

- „ბაიერნიდან" გამოგდებული, „ვოლფსბურგის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნეთ და იმ დღის შემდეგ, მიუნხენში პირველად ბრუნდებით – ამჯერად მტრის რანგში. როცა მოედანზე გახვალთ, ხომ არ შეგეშლებათ და „ბაიერნის" სათადარიგოთა სკამს ხომ არ მიაშურებთ?

- (იცინის) არა, მიუნხენში მას მერეც ვიყავი, მაგრამ არა სამუშაო ვიზიტით. პირდაპირ გეტყვით, ამ მატჩს მოუთმენლად ველოდი, რადგან „ბაიერნის" წინაალმდეგ ნებისმიერი გერმანული კლუბი და მწვრთნელი აღრენილია ხოლმე, მაგრამ არა მგონია, მატჩის დაწყებამდე ისე ვინერვიულო, რომ „ბაიერნის" სათადარიგოთა სკამისკენ გავემართო.

- დაუჯერებელია, რომ არ ინერვიულებთ...

- იცით, ძალიან მიხარია, რომ მიუნხენში „ვოლფსბურგის" მთავარი მწვრთნელის რანგში ვბრუნდები. მიუხედავად იმისა, რომ „ბაიერნი" ზედიზედ ორჯერ გავხადე გერმანიის ჩემპიონი და ზედიზედ ორჯერ მოვაგებინე გერმანიის თასი, ამ გუნდში სრულყოფილად ბედნიერი არასდროს ვყოფილვარ. რეკორდმაისტერში გატარებული ორწელინადნახევარი ძალიან კარგი და ლამაზი დრო იყო, მაგრამ სრულყოფილი ბედნიერება არ ყოფილა. ბევრი ამბობს, რომ პოსტიდან გათავისუფლებამ ძალიან გამაბრაზა და რომ დღემდე ნაწყენი ვარ, მაგრამ ასე არ არის – ეს სიცრუეა. არავისზე არ ვარ ნაწყენი.

- ე.ი. ული ჰიონესს, კარლ-ჰაინც რუმენიგეს და ფრანც ბეკენბაუერს ხელს მეგობრულად ჩამოართმევთ?

- დიახ, რა თქმა უნდა! რატომაც არა? სხვანაირად რატომ უნდა იყოს?

- ლუკა ტონი, ფრანკ რიბერი, ჰამით ალთინთოფი – ეს ის ფეხბურთელები არიან, რომელთა გადაბირებაც თავიდან თქვენი ინიციატივა იყო. გულახდილად გვითხარით, რამდენჯერ გაიფიქრეთ ასეთი რამ: „ეს ფეხბურთელები ჩემთვის რომ ეყიდათ, „ბაიერნს" ჩემპიონთა ლიგას მოვაგებინებდი."

- მართალი ბრძანდებით: წინა სეზონის დასაწყისში ხელმძღვანელებთან სწორედ ამ ფეხბურთელებზე მქონდა საუბარი. იმასაც ამბობენ, მაგათს ჰიტცფელდის ძალიან შურსო და იმასაც გეტყვით, რომ ესეც მტკნარი სიცრუეა. მე „ბაიერნში" ძალიან კარგი გუნდი მყავდა და არავისი არ მშურს. ახლა კი ჩემთვის ყველაზე მთავარი ის არის, რომ „ვოლფსბურგში" ძლიერი გუნდი ჩამოვაყალიბო, რომელიც მომავალში მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს.

- გასულ ზაფხულს, გერმანული კლუბებიდან ტრანსფერებში ყველაზე ბევრი ფული „ბაიერნმა" დახარჯა. მეორე ადგილზე კი, ამ მხრივ „ვოლფსბურგი" გავიდა. თქვენ ფაქტობრივად ახალი გუნდი გააკეთეთ. მიუხედავად ამისა, რეკორდმაისტერი პირველ ადგილზეა, „ვოლფსბურგი" კი მეთერთმეტეზე. რა ვერ გათვალეთ სწორად და რაში დაუშვით შეცდომა?

- ყველაფერი სწორად გავთვალე და შეცდომაც არ დამიშვია. თქვენ ახლა ისეთი შედარება გააკეთეთ, რომ შეცდომა დაუშვით – „ბაიერნის" და „ვოლფსბურგის" შედარება არ შეიძლება. მიუნხენურ კლუბს თავიდანვე კარგი გუნდი ჰყავდა, „ვოლფსბურგი" კი, გასულ სეზონში მე-15 ადგილზე გავიდა! აქ ყველაფერი თავიდან იყო გასაკეთებელი და ჩვენბც ფაქტობრივად ახალი გუნდი შევქმენით. ვფიქრობ, ყველაფერი კარგად მიდის და მეც სწორ გზას ვადგავარ.

- თქვენ ამბობთ, რომ სულ მალე „ვოლფსბურგი" ისეთი გუნდი უნდა გახდეს, რომელიც ტიტულებისთვის იბრძოლებს. „ბაიერნს" ომს როდის გამოუცხადებთ?

- პირველ რიგში, ჩვენი მიზანი საატურნირო ცხრილის შუაში ადგილის დამკვიდრებაა. ბოლო ორ სეზონში „ვოლფსბურგმა" მე-15 ადგილი დაიკავა და მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებას ძლივს გადაურჩა. შესაბამისად, ჩვენი უპირველესი სამიზნე საშუალო დონის გუნდებია: „ჰანოვერი", „ლევერკუზენი", „აინტრახტი". მერე უკვე „შალკეს", „ვერდერს", „ჰამბურგს" და „შტუტგარტს" შევებრძოლებით, მერე კი „ბაიერნის" ჯერიც დადგება. მინდა შეგახსნოთ, რომ გერმანიის თასიც ტიტულია. ჯერ ამ ტიტულისთვის ვიბრძოლებთ და ჩემპიონობაზე ფიქრი მხოლოდ ამის შემდეგ შეგვეძლება. „ვოლფსბურგმა" ეს გზა ეტაპობრივად უნდა გაიაროს.

- მიუხედავად იმისა, რომ „ბაიერნი" ჯერ კიდევ პირველ ადგილზეა, რუმენიგემ ჰიტცფელდი მაინც მაგრად გააკრიტიკა. არ გიხარიათ, რომ თქვენ ასეთი წნეხის ქვეშ აღარასოდეს მოექცევით?

- სხვათა შორის, რუმენიგეს ასეთი საქციელი არ გამკვირვებია. მაგრამ მე ჰიტცფელდის გამო არ ვნერვიულობ, რადგან ვიცი, რომ ოტმარზე უკეთ „ბაიერნის" ხელმძღვანელებს არავინ იცნობს. შესაბამისად, ის არავის მისცემს იმის უფლება, რომ ოდესმე განტევების ვაცად აქციონ. ჰიტცფელდი გაცილებით ჭვიანი და წინდახედული კაცია, ვიდრე ეს ზოგ-ზოგიერთებს ჰგონიათ. ისე კი, გეტყვით, რომ ასეთი კრიტიკის მიმართ მე ძალიან კრიტიკულად ვარ განწყობილი.

- უფრო დაწვრილებით, თუ შეიძლება.

- საერთოდ, მწვრთნელებს ძალიან ცუდი ბედი გვაქვს. ყველაზე ადვილი სწორედ მწვრთნელის განირვაა და ძალიან ცუდია, რომ უამრავი მწვრთნელი რაღაც-რაღაცეებს მხოლოდ იმიტომ ეწირება, რომ ხელმძღვანელები სხვას ვერავის განირავენ. როდესაც გრძელვადიანი გეგმა გაქვს, საქმისადმი ასეთი მიდგომა დამღუპველია. როდესაც მწვრთნელი ფიქრობს, რომ მას შეფებისგან სრული მხარდაჭერა არა აქვს და შიშობს, რომ თუ საქმე კარგად ვერ წავა, განტევების ვაცად აქცევენ, მაშინ ის რისკზე ველარ მიდის და თუ მწვრთნელი რისკზე არ მიდის, ჩათვალეთ, რომ საქმის ნახევარი ვერ კეთდება. ძალიან მიხარია, რომ „ვოლფსბურგში" სრული ძალაუფლება და კარტ-ბლანში მომცეს, რაც იმის საშუალებას მაძლევს, რომ გუნდი ჩემს გემოზე მოვაწყო და მერე მხოლოდ მე ვიყო პასუხისმგებელი.

- თქვენ დროს ლუკას პოდოლსკი გაცილებით ხშირად თამაშობდა, ვიდრე ახლა. ჰიტცფელდი მას იშვიათად ენდობა...

- პოდოლსკიმ გერმანიის ნაკრებში ჩატარებული თამაშებით დაამტკიცა, რომ ძლიერი ფეხბურთელია და რომ არც მონდომება აკლია და არც მოტივაცია. მეც სულ იმას ვთხოვდი, რასაც ჰიტცფელდი სთხოვს და ამ მხრივ ოტმარს ვერაფერში დავადანაშაულებ – პრობლემა თვითონ ლუკასშია. როდესაც პოლდი ასეთი მონდომებულია, მაშინ ის ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია, როცა არა, მაშინ მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 0-ის ტოლია. მაგრამ ასეთი მონდომება მან ყველა თამაშში უნდა გამოავლინოს და არა ყოველ მე-10 სანაკრებო მატჩში.

- ხომ არ ფიქრობთ, რომ „ბაიერნის" რამდენიმე ფეხბურთელი შეეცდება, თქვენც დაგიმტკიცოთ რაღაც-რაღაცეები?

- გამორიცხული არ არის, რომ ასე იყოს. თუმცა ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ უნდა იყოს ფეხბურთელი მოტივირებული – პირადად მე, აქტიური სპორტული კარიერის დროს ყველა თამაშში მოგება მინდოდა და მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვის ვეთამაშებოდი ან ვინ იჯდა მეტოქე გუნდის სათადარიგოთა სკამზე.

- მწვრთნელის რანგში „ბაიერნი" მხოლოდ ერთხელ გყავთ დამარცხებული – 7 წლის წინათ, ფრანკფურტის „აინტრახტით". ახლა რა იქნება?

- „ბაიერნი" ფავორიტია და ჩემი აზრით, უპრობლემოდ გახდება გერმანიის ჩემპიონი. მაგრამ ჩვენ არაერთხელ დავამტკიცეთ, რომ სტუმრად ძალიან კარგად ვთამაშობთ. მინდა, რომ ვიგოთ, მაგრამ ერთი ქულითაც კმაყოფილი დავრჩები.

გოტფრიდ ლენცი

მაგათი-ჰიტცფელდი

სანოგომ და კარლოს ალბერტომ ერთმანეთს დასცხეს, შაოფმა ორივე მოკვეთა...

ვერდერი

ბრემენელი მოკრივეები

გუშინწინ „ვერდერში“ არასასიამოვნო ფაქტი მოხდა, რასაც ის მოჰყვა, რომ დღევანდელი მატჩის წინ („მუსიკოსები“ „კოტბუსს“ სტუმრობენ), გუნდის მთავარმა მავრთნელმა **თომას შაოფმა** ორი მოთამაშე, ბრაზილიელი ნახევარმცველი **კარლოს ალბერტო** და კოტ დ'ივუარელი ფორვარდი **ბუბაკარ სანოგო** დროებით გუნდიდან მოკვეთა. საქმე იმაშია, რომ ხუთშაბათის ვარჯიშზე ეს მოთამაშეები ერთმანეთს დაეტაკნენ და ხელჩართული ჩხუბი გააჩაღეს, ერთმანეთს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. 24 წლის სანოგო და 22 წლის კარლოს ალბერტო კარგი მოკრივეებივით ჩხუბობდნენ.

„ვერდერის“ სხვა ფეხბურთელებს და მწვრთნელებს დიდი ჯაფა დაადგათ, რომ მოჩხუბრები გაეშველებინათ. სანამ საქმეში შაოფი არ ჩაერია, სანოგო და კარლოს ალბერტო ვერავინ დააწყნარა. ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ მწვრთნელმა ორივე მათგანი გასახდელისკენ გაისტუმრა, მოგვიანებით კი განაცხადა, რომ ისინი კვირამდე მოკვეთილები არიან და შესაბამისად, დღეს „კოტბუსთან“ ვერ იასპარეზებენ.

„ფეხბურთელების ასეთი ქცევა მიუღებელია. რაც არ უნდა მოხდეს, თანაგუნდელებმა ერთმანეთს პატივი უნდა სცენ. მათი გუნდიდან მოკვეთა კი იმის მაუწყებელია, რომ ასეთი რამ არავინ არ უნდა გაიმეოროს. თუკი ასეთი რამ განმეორდება, სასჯელი უფრო მძიმე იქნება,“ – აცხადებს შაოფი.

რა მოხდა ამ ორ ფეხბურთელს შორის? ერთ-ერთ ეპიზოდში, ორთაბრძოლისას, სანოგოს კარლოს ალბერტოსთვის სახეში ხელი მოუხვდა. ბრაზილიელი ამის გამო განრისხდა და სანოგოს მარცხენა მუხლში ფეხი ჩაარტყა. შეგახსენებთ, რომ ეს სწორედ ის მუხლია, რომელზეც სანოგომ ტრავმა გადაიტანა (ერთი თვე გაუცდა) – როგორც იცით, თავდამსხმელი ახლახან გამოჯანმრთელდა და მოედანზე „კოტბუსთან“ შეხვედრაში უნდა დაბრუნებულიყო. მტკივან მუხლში ჩარტყმამ სანოგო განარისხა და დაიწყო ხელჩართული მუშტი-კრივი.

„ეგ ბიჭი სრულ ჭკუაზე ვერ არის!“ – გაოგნებულია სანოგო, - *„ხელი შემთხვევით მომიხვდა, მან კი განგებ ჩამარტყა მტკივან მუხლში. არადა, ვარჯიშის წინ ერთად ვხუმრობდით და საერთოდ, მასთან პრობლემა არასდროს მქონია. პირიქით, ერთმანეთთან საკმაოდ ახლოს ვიყავით. არ მესმის, რატომ მოიქცა ასე!“*

ფაქტი ის გახლავთ, რომ კარლოს ალბერტო ძალიან დეპრესიული ადამიანია, რაზეც ადრეც არაერთხელ დაგვიწერია. ის ბრემენულმა კლუბმა გასულ ზაფხულს 8 მილიონ ევროდ შეიძინა, რითაც კარლოს ალბერტო „ვერდერის“ ყველა დროის ყველაზე ძვირფასი მოთამაშე გახდა. სანოგოს კი, რომელიც კოტ დ'ივუარის ნაკრების თავდამსხმელია, მიმდინარე სეზონში 6 გოლი აქვს გატანილი.

დასასრულს ერთი სატრანსფერო ხასიათის ინფორმაცია. „იუვენტუსმა“ ოფიციალურად დაადასტურა, რომ „ვერდერის“ ფლეიმეიქერი **დიეგო** მისი თვალთახედვის არეშია მოქცეული. *„ჩვენ მას რეგულარულად ვაკვირდებით და ისიც ვიცით, რომ არ ვართ ერთადერთი გუნდი, რომელსაც დიეგოს გადაბირება უნდა,“* – აცხადებს „იუვეს“ სპორტული დირექტორი **ალესიო სეკო**. „იუვენტუსის“ გარდა დიეგოსთვის „ინტერიც“ იბრძვის.

გერმანული საკლუბო ფეხბურთი

ბუნდესლიგოლვილები

მიმდინარე წლის ზაფხულზე გერმანია უამრავმა ცნობილმა ფეხბურთელმა დატოვა. **მოდით, მივყვეთ მათს კვალს და გავარკვიოთ, როგორ აეწყოთ ცხოვრება ახალ ქვეყნებში. პირობითად მათ ბუნდესლიგოლვილები ვუწოდოთ. აღსანიშნავია, რომ ამ ფეხბურთელების უმრავლესობა მიუნხენის "ბაიერნიდან" აიბარგა.**

მიუნხენში იმხელა აჟიოტაჟი ატყდა **ტონის, კლოზესა** და **რიბერის** გადაბარგების გამო, ყველას დააავიწყდა, რომ გუნდი საკმაოდ მაღალი დონის სხვა ფეხბურთელებმა დატოვეს. **ჰასან სალიჰამიჯიჩის** "იუვენტუსში" გადაბარგება ჯერ კიდევ პირველი წრის დასრულებამდე გადაწყდა, მაშინ "ქალბატონი" ჯერ კიდევ სერია ბ-ში ასპარეზობდა. **როი მაკაიმ** საყვარელი კლუბის დატოვება მას მერე გადაწყვიტა, რაც საბოლოოდ გაირკვა, რომ მიროსლავ კლოზეც მიუნხენში აპირებდა თამაშს. როის დონის ფორვარდს მესამე ან მეოთხე თავდამსხმელობა არ ეკადრებოდა და არც იკადრა. მან დიდი ხნის განშორების შემდეგ სამშობლოს მიაშურა და "ფეიენოორდის" რიგებს შეუერთდა. **ოუენ ჰარგრივსი** როგორც იქნა გადაბარგდა ინგლისში, თუმცა სადმე კი არა, თვით "მანჩესტერ იუნაიტედში". დასავლეთის მიმართულება აირჩია **კლაუდიო პისარომაც** და **ჟოზე მოურინიოს** "ჩელსიში" ჩაირიცხა. ნიჭიერი პარაგვაელი **როკე სანტა კრუსი** "ბლექბერნს" შეუერთდა. მიუხხენში მან ასეც ვერ მოახერხა შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენა. ამ სიაშია აზიის კონტინენტის ერთგზის საუკეთესო ფეხბურთელი **ალი ქარიმი,** ვინც კატარში განაგრძო ბურთის გორება.

მაკაიმ პირველ 10 ტურში მეტოქეთა ბადე 5-ჯერ შეარხია. ამით ის თავის ახალ კლუბს ძალიან შეეწია იმაში, რომ ახლა "ფეიენოორდი" და "აიაქსი" პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ. უკანასკნელ ტურში "აჩრდილმა" კვლავ შეძლო თავის გამოჩენა, მიუხედავად იმისა, რომ უკვე 49-ე წუთზე შეცვალეს.

თინეიჯერი გოგონების კერპმა როკე სანტა კრუსმა უმალ მოახერხა გუნდის ძირითადში ადგილის დამკვიდრება. პარაგვაელის ანგარიშზე პირველ 10 ტურში 4 გოლი იყო. რაც, შესანიშნავი შედეგია, იმის გათვალისწინებით, რომ მთელი შარშანდელი სეზონის განმავლობაში მის ანგარიშზე 26 თამაშში 2 გოლი იყო.

ვარსკვლავურ "ჩელსიში" თავიდან არც პისარო დაიკარგა. მან პირველივე ტურში შეძლო თავის გამოჩენა. პერუელმა მას მერე ცოტა მოუკლო, მაგრამ საერთოდ არ ჩანსო, ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით. კლაუდიომ უკვე 9-ჯერ ითამაშა, ძირითადად შეცვლებზე.

ჰარგრივსი მას მერე რაც "მანჩესტერში" გადავიდა, ძირითადად იმითაა დაკავებული, რომ მტკივან მუხლს მკურნალობს. პირველი-მატჩი მან "მიდლსბროსთან" მოგებულ (4:1) შეხვედრაში ჩაატარა. შემდეგ ტურში კი "ბლექბერნის" წინაღმდეგ უკვე 90 წუთი ითამაშა. როგორც ეს მის პოზიციას სჩვევია, ოუენი ნაკლებად ჩანს, მაგრამ როცა მინდორზეა ყოველთვის ძალიან სასარგებლო როლს ასრულებს. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ "არსენალთან" (2:2) მატჩში ის გუნდში ალბათ ყველაზე სუსტი იყო. საკმარისია მან ფორმა აკრიფოს, რომ ფერგის მექანიზმის აუცილებელ შემადგენელ ნაწილად იქცევა.

ჰასან სალიჰამიჯიჩი საკუთარ ბედნიერებას ეძებს სერია ა-ში, მაგრამ ჯერ ვერ უპოვია. მყარი ადგილი ძირითადში მან ვერ მოიპოვა. თუმცა ამით არც უკანასკნელ ბაიერნულ სეზონში იყო განებივრებული. უკანასკნელ ტურში, რომელსაც "ლაციოს" ფანის მკვლელობამ ტრაგიკული ელფერი შესძინა, "ბრაცომ" ითამაშა - **ზდენეკ გრიგერას** ნაცვლად შეცვლაზე შევიდა. ასე ხდება თითქმის ყველა ტურში, ზეგამოცდილ ფეხბურთელს უჭირს სასტარტოში მოხვედრა. ის პოზიციით განაპირა ნახევარმცველია. მისი უშუალო კონკურენტები არიან **მაურო კამორანეზი** და **ანტონიო ნოჩერინო.** ისინი კი ბოსნიელის სათამაშო პრაქტიკით განებივრებას არც კი ფიქრობენ. ჰასანის უპირატესობა მისი უნივერსალიზმია. მას თითქმის ყველგან შეუძლია ასპარეზობა, გარდა მეკარის პოზიციისა.

გარდა ექსბაიერნელებისა, საზღვარგარეთ კარიერა განაგრძეს სხვა კლუბების წევრებმაც. დავუბრუნდეთ ინგლისსა და პრემიერლიგას და გავიხსენოთ, რომ ექსლევერკუზენელი **ანდრეი ვორონინი** ახლა "ლივერპულში" ასპარეზობს და, სხვათა შორის, არცთუ წარუმატებლად. მერსისაიდელების ბანაკში არანორმალური კონკურენციაა, თავად განსაჯეთ: ჰოლანდიის ნაკრების ფორვარდები **რაიან ბაბელი** და **დირკ კუიტი,** ინგლისის ნაკრების წევრი **პიტერ კრაუჩი,** ესპანეთის ნაკრების ლიდერი **ფერნანდო ტორესი**. ასეთ გარემოში უკრაინელი ხანდახან მაინც ახერხებს ძირითადში მოხვედრას. ამაში ხელს უწყობს **რაფა ბენიტესის** ყბადაღებული როტაციული პრინციპი. ფეხბურთელს, ვისაც "ლევერკუზენში" მომენტების გამოუყენებლობას საყვედურობდნენ, უკვე 3 გოლი აქვს გატანილი.

გერმანიის ნაკრების ორი მოქმედი მოთამაშე ამ სეზონიდან პრიმერა დივიზიონში ასპარეზობს. მადრიდის "რეალის" ღირსებას იცავს ნაკრების მეხანძრედ წოდებული, ცენტრალური მცველი **კრისტოფ მეტცელდერი.** ხოლო სათადარიგო გოლკიპერი ტიმო ჰილდებრანდი "ვალენსიის" რიგებშია.

პირველ ეტაპზე "ტიმონატორი" სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა. გასაკვირი არც იყო. ყოფილი დამრიგებელი **კიკე სანჩეს ფლორესი** ძირითად ყურადღებას გამოცდილ ფეხბურთელებს უთმობდა, ხოლო "ვალენსიას" ჯერ კიდევ საღსალამათი **სანტიაგო კანისარესი** ჰყავდა. *"მე არ ვაპირებ ბრძოლის შეწვეტას"*, - აცხადებდა გერმანელი. **რონალდ კუმანის** მოსვლის შემდეგ სიტუაცია შეიცვალა, მოხუცი სანტიაგოს გამოჯანმრთელების მიუხედავად ძირითად მეკარედ უკვე ჰილდებრანდი ითვლება. ჩემპიონთა ლიგაში "რუსენბორგთან" საშინაო თამაშის წაგების შემდეგაც კი, როცა ტიმომ აშკარა შეცდომა დაუშვა, მის სტატუსში არაფერი შეცვლილა. ამ თამაშზე ესპანურმა "ასმა" დაწერა: *"გერმანელმა მეკარემ მეორე გოლი მეტოქეს ისევე მიართვა, როგორც ამას რესტორნის თავაზიანი ოფიციანტები აკეთებენ"*. ტიმოს "ვალენსიამ" სხვა სამარცხვინო თამაშიც ჩაატარა "მესტალიაზე", 1:5 "რეალთან". რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ამ თამაშში გერმანელს აშკარა შეცდომა არ დაუშვია, მაგრამ 5 გოლის მაინც მოახერხა. იმ დღეს დაცვა "მონოდების სიმაღლეზე" იყო. ამ თამაშში ჰილდებრანდის მეგობარმა მეტცელდერმაც 90 წუთი ითამაშა...

როი მაკაი

მეტცეს "რეალში", რა თქმა უნდა, ფიანდაზებით არავინ დახვედრია. ისევე როგორც ეს სუპერკლუბებში ხდება ხოლმე, მასაც ჰყავს სერიოზულზე სერიოზული კონკურენტები. იდეაში მის ადგილას თამაში 3 ძლიერ მცველს შეუძლია, ესენი არიან ბრაზილიელი **პეპე,** ვისშიც მადრიდელებმა 30 მილიონი ევრო გადაიხადეს, იტალიელი **ფაბიო კანავარო,** მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი და მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი. ესპანეთის ნაკრების წევრი **სერხიო რამოსი,** ვისი პრობლემაც **ბერნდ შუსტერმა** მარჯვენა მცველის პოზიციაზე გადაყვანით გადაჭრა. აღვნიშნოთ, რომ კანავარო და მეტცელდერი შეკრებებისა და გასვლით მატჩებისას, სასტუმროში ერთ ოთახში ცხოვრობენ. კრისტოფმა 11 პრიმერადივიზიონური მატჩიდან 7 ძირითადში ჩაატარა, აქედან 6-ჯერ შეუცვლელად. ჩემპიონთა ლიგის უკანასკნელ მატჩში "ოლიმპიაკოსის" წინააღმდეგ მას არ უთამაშია. გერმანელს არ აშინებს ამდენი ვარსკვლავის მის ირგვლივ თავმოყრა. *"მე ავირჩიე დიდი კლუბი და ყველაფერს იმას რაც ჩემ ირგვლივ ხდება, ლოგიკურად მივიჩნევ. ეს დიდი ნაბიჯია ჩემს კარიერაში."* "რეალში" გადასვლის შანსი მას ჯერ კიდევ 4 წლის წინათ, 2003-ში ჰქონდა, მაგრამ მაშინ მან ძლიერი ტრავმა მიიღო და გარიგება ჩაიშალა.

ოდესღაც "შალკეს" ლიდერ **ლინკოლნს** გულმა თურქეთისკენ გაუწია. მან სტამბულის "გალათასარაი" აირჩია. ბრაზილიელი, ვისაც გერმანიაში სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემები არასოდეს ჰქონია, მოუმზადებელი შეხვდა ჩემპიონატის ერთ-ერთ უმთავრეს მატჩს "ბეშიქთაშთან". საბოლოოდ მან ამ თამაშს მხოლოდ ტრიბუნიდან მიადევნა თვალი. ლინკოლნმა და მისმა თანაგუნდელებმა უკანასკნელ ტურში მოახერხეს მიმდინარე ჩემპიონატის სენსაციური ლიდერის "სივასფორის" პირველი ადგილიდან ჩამოქვეითება. იმ დროს, როცა ჩემპიონატში ყველაფერი რიგზეა, უეფას თასზე "ლომებს" ორიდან ორი ნაგება აქვთ და გავარდნის რეალური კანდიდატები არიან.

კრისტოფ მატცელდერი

ჰასან სალიჰამიჯიჩი

ექსპერტების შეფასებით, ბუნდესლიგის ყველაზე დიდი დანაკარგი არა გერმანიის ნაკრების რომელიმე ვარსკვლავი, არამედ თურქი თინეიჯერი **ნური შაჰინია**. შეგახსენებთ, რომ ის ბუნდესლიგის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელია. მისი პირველი ნაბიჯები დიდ ფეხბურთში ჰოლანდიელ **ბერტ ვან მარვიიკს** უკავშირდება. ამ სპეციალისტის "ფეიენოორდში" დაბრუნების შემდეგ, ნურიმაც მის გზას მიაშურა. მან უპრობლემოდ მოახერხა გუნდის ძირითადში ადგილის დამკვიდრება და პირველ 9 თამაშში მან 2 გოლის გატანა მოახერხა. რაც, მისი ასაკისა და პოზიციის გათვალისწინებით, ფანტასტიკური შედეგია.

ჭიდაობა

სეზონის მონაგარი

სარეკორდო ნელინაადი

მიმდინარე სპორტული სეზონი მოჭიდაველებისთვის, ტრადიციულად, დატვირთული გამოდგა - ჩატარდა ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატები როგორც უფროსებში, ასევე ახალგაზრდებში. რაც შეეხებათ ჭაბუკებს, მათთან ევროპისა და მსოფლიო პირველობები თითონლიანი მონაცვლეობით ტარდება. წლეულს ევროპის ჩემპიონატი მოუწიათ.

დავიწყოთ უფროსების ევროპის ჩემპიონატით, რომელიც 21-26 აპრილს სოფიაში ჩატარდა. იქ უფრო წარმატებით ანტიკოსებმა იასპარეზეს, რომლებმაც, მართალია, მხოლოდ 2 მედალი მოიპოვეს, მაგრამ ორივე ოქროსი - კონტინენტის ჩემპიონები **მანუჩარ კვირკველია** (74) და **რამაზ ნოზაძე** გახდნენ. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ჩემპიონი კვირკველია პირველად გახდა ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს პრიზიორი და ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი ნოზაძე - მეორედ.

როდენობრივად მეტი მედალი მოიპოვეს „თავისუფლებმა" - 3, მაგრამ ჩემპიონობა აუხდენელ სურვილად დარჩათ. მათი მონაგარი 1 ვერცხლი და 2 ბრინჯაოა. როგორც იქნა, ჯადოსნური წრე გაარღვია **გელა საღირაშვილმა** (74), რომელმაც ვერცხლის მედალი მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ეს მისი პირველი მედალია საქართველოს ნაკრებში. გაცილებით მეტს ველოდით **გიორგი გოგშელიძისგან** (96). მით უფრო, რომ სოფიაში არ ჭიდაობდა მისი უმთავრესი კონკურენტი, რუსი ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი ჰაჯიმურატ გაცალოვი. სამწუხაროდ, ჩვენებური მის შემცვლელთან, მომავალ ჩემპიონ შირვანი მურადოვთანაც დამარცხდა და საბოლოოდ მესამეზე გავიდა. ასევე ბრინჯაო ირგუნა **ლექსო მოდებაძემაც** (მძიმე), თუმცა მისი მარცხიც ძალზე დასანანია მომავალ ფინალისტთან, უკრაინელ სერგეი პრიადუნთან.

გუნდურ ჩათვლაში „თავისუფლები" მეორეზე გავიდნენ, „ანტიკოსები" - მესამეზე.

მსოფლიო ჩემპიონატი 17-22 სექტემბერს ბაქოში ჩატარდა და იქ ჰეკინის ოლიმპიადის ლიცენზიებიც გათამაშდა. „ანტიკოსებმა" აქაც აჯობეს „თავისუფლებს" და რაც უფრო მნიშვნელოვანია, კვლავ წყვილად მოიპოვეს ოქრო. ოღონდ ამჯერად ამას 1 ბრინჯაოც დაუმატეს და ევროპულ „ოქროს დუეტში" ერთი მონაწილეც შეიცვალა. შარშანდელი ტრიუმფალური სეზონი (ვერცხლის მედლები ევროპაზეც და მსოფლიოზეც) წარმატებით გააგრძელა **დავით ბედინაძემ**, რომელმაც ამჯერად მაინც აისრულა მიზანი და მსოფლიო ჩემპიონი გახდა, მეორე ოქრო კი ისევ **რამაზ ნოზაძემ** მოიპოვა. ამით მან დუბლი შეასრულა, რაც ნებისმიერი სპორტსმენისთვის საამაყო და სანატრელი რამეა. რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ ისევ გაიბრწყინა ევროპის ჩემპიონმა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა **ბადრი ხასაიამ** (84), რომელიც ბრინჯაოს დაეუფლა. სამივე სპორტსმენმა ლიცენზიაც მოიპოვა, რაც მედლებთან ერთად, კარგი შედეგია. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე ორი ოქროს მედალი დამოუკიდებლობის შემდეგ, პირველად მოვიპოვეთ.

სამწუხაროდ, „თავისუფალთა" მონაგარი მოკრძალებულია - 1 ბრინჯაო და 2 ლიცენზია. ჩვენებურთაგან პრიზიორებში მხოლოდ **ოთარ თუშიშვილი** (66, მესამე ადგილი) მოხვდა, პეკინის ოლიმპიადის საგზური კი მასთან ერთად, მეხუთეზე გასულმა **გელა საღირაშვილმაც** მოიპოვა.

მთლიანობაში, ჩვენმა გუნდებმა ევროპისა და მსოფლიო პირველობებზე ჯამში 9 მედალი მოიპოვეს. აქედან 4 ოქროა, 1- ვერცხლი და 4 - ბრინჯაო. ამასთან, 5 ლიცენზიაც მოიპოვეს, თუმცა საგზურებისთვის ბრძოლაში აშკარად მოიკოჭლეს და გაისად მათ დასაუფლებლად მედგარი ბრძოლები ელით.

„თავისუფლად" მოჭიდავე ახალგაზრდებში ნამდვილი ბენეფისი მოინყვეს **გორა ლომთათიძემ** (74) და **ბექა ჭელიძემ** (84) - ევროპაზეც და მსოფლიოზეც ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. მათ გული მხოლოდ იმაზე თუ დასწყდებათ, ბრინჯაოს რომ ვერ გადაახტნენ. აღსანიშნავია, რომ ევროპაზე მეტი მედალი არც გვქონია, მსოფლიოზე კი ამ მონაგარს მესამე ბრინჯაო **დავით ბერძნიშვილმა** (50) შემატა.

გამოკვეთილი ლიდერი მოევლინა „ანტიკოსთა" ნაკრებსაც - **სერგო ნინუა** (84), რომელმაც ევროპა-მსოფლიოზე ასევე ორი ბრინჯაო მოიპოვა. მსოფლიოზე მეტი მედალი არც მოგვიპოვებია, ევროპაზე კი **ლაშა გოგიტაძეც** (55) ასევე მესამეზე გავიდა.

რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ჩვენმა ახალგაზრდებმა ევროპა-მსოფლიოზე 8 მედალი მოიპოვეს და ყველა ბრინჯაოსი! ამდენი ჯილდო თავისთავად კარგია და ახალგაზრდებს საყვედური არ ეთქმით, მაგრამ საწყენია, რომ სეზონის ამ უმთავრეს ტურნირებში საჩვენოდ უკეთესი ხარისხის მედალი არ მოიძებნა.

ევროპული მედლები ყველაზე ხვავრიელად მაინც ჭაბუკებმა დახვეტეს და თანაც - ბევრად მაღალი ხარისხისა. „ანტიკოსებმა" 1 ოქრო და 3 ვერცხლი მოიპოვეს, რითაც გუნდურში მეორე ადგილიც დაიკავეს. ჩემპიონი **ვასილ იმერლიშვილი** (100) გახდა, **მინდია წულუკიძე** (42), **პაატა ბაკურიძე** (60) და **თორნიკე ნაჭყეპია** (66) კი ფინალში დამარცხდნენ.

„თავისუფალთა" მონაგარი 1 ოქრო და 2-2 ვერცხლ-ბრინჯაოა. ჩემპიონობა ბოლო წლებში გუნდის ლიდერად ქცეულმა **თორნიკე ხიდეშელმა** (100) მოიპოვა, **დავით ხუციშვილი** (60) და **დავით მარსაგიშვილი** (76) მეორეზე გავიდნენ, **გიორგი ჩიტაშვილი** (84) და **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55) - მესამეზე.

ჭაბუკთა მონაგარი 9 მედალია. აქედან 2 ოქროა, 5 - ვერცხლი და 2 - ბრინჯაო.

სამივე ასაკობრივმა ნაკრებმა ევროპისა და მსოფლიო პირველობებზე 26 მედალი მოიპოვა, რაც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ რეკორდული მაჩვენებელია. ამ შეჯიბრებების გარდა, საერთაშორისო ტურნირებში 251 მედალია მოპოვებული.

ირაკლი თავაძე



მსაფლიოსა და ევროპის ჩემპიონი რამაზ ნოზაძე

ჩაბარი

LOYALCAPITAL group

ᲥᲕᲐᲠᲪᲘᲢᲘ QUARTZITE

BTA Silk Road Bank

26 ნოემბერი. საქართველოს ჩემპიონატის ფინალი

ორშაბათს სეზონის კულმინაციაა: ლელო-ყოჩები

ორშაბათს, 26 ნოემბერს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე საქართველოს ჩემპიონატის ფინალური შეხვედრა „ლელოსა" და „ყოჩებს" შორის 19 საათზე დაიწყება. რაგბის გაიმართა კავშირში ამ მატჩისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია, სადაც მონაწილეობა ვორივე გუნდის მწვრთნელებმა, კაპიტნებმა და საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა გია ნიჟარაძემ.

გიორგი მამარდაშვილი, *რაგბის კავშირის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი:*

- ორშაბათს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე სეზონის ბოლო სარაგბო შეხვედრაა. იმედი გვაქვს საქართველოს ჩემპიონატის ფინალური მატჩი მთელი წარმატებული სეზონის ღირსეული გვირგვინი იქნება.

ფინალში ბოლო წლების ორი საინტერესო, საკმაოდ ძლიერი, საკუთარი ხელწერის მქონე გუნდები იასპარეზებენ. „ყოჩები" 1995-98 წლებში ქვეყნს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი იყო. სწორედ იმ პერიოდში ეს გუნდი ორჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი 1997 და 1998 წლებში. „ლელოს" ისტორია უმაღლეს ლიგაში 2003 წლიდან იწყება და ამ გუნდმა მალევე აჩვენა თავისი შესაძლებლობები. 2004 წელს ლელოელებმა ჩემპიონობა იზეიმეს.

ორივე გუნდს საკმაოდ კარგი, საერთაშორისო გამოცდილების მქონე მწვრთნელი ჰყავს. ისინი საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებს ხელმძღვანელობდნენ უდიდეს სარაგბო ფორუმებზე. ამდენად მიგვაჩნია, რომ ფინალური შეხვედრა მეტწილად სწორედ ამ მწვრთნელების დუელი იქნება. იმედი გვაქვს თამაში შედეგად დაძაბული, სანახაობრივი, კლასიანი იქნება.

ლევან მაისაშვილი, *„ლელოს" მწვრთნელი:*

- განწყობა როგორც ყოველთვის საბრძოლოა. ცუდი ამინდის მიუხედავად შეძლებისდაგვარად ვემზადებით. ძალიან მინდა, თამაშის დღეს კარგი ამინდი იყოს, რომ ლამაზი, სანახაობრივი და ფინალის ღირსი თამაში გამოვიდეს. მინდა მოვუწოდო გულშემატკივარს, თამაშზე მოსვლა არ დაიზარონ. მერწმუნებთ, სავსე ტრიბუნები მორაგბეებისთვის ძალიან დიდი სტიმულია. ორივე გუნდი ახალგაზრდულია, მაგრამ სერიოზული ამბიციებიც გააჩნიათ.

კარგია, რომ შეხვედრას ფრანგი არბიტრი პიერ დეშამბე იმსაჯებს. მთავარია, რომ ამით შეწყდება მითქმა-მოთქმა, დაზღვეული ვიქნებით შეცდომებისგან, რომელიც გავლენას იქონიებს მატჩის შედეგზე.

ნიკო ჭავჭავაძე, *„ყოჩების" მწვრთნელი:*

- მატჩისთვის სამზადისში უამინდობას კორექტივები შეაქვს, მაგრამ მატჩისთვის სრული მზადყოფნაში ვიქნებით. გუნდს ტრავმის გამო შესაძლოა გიორგი კაჭარავა დააკლდეს, სხვა ყველა ჯანმრთელია და საბრძოლველად მზადაა.

კარგი იქნება თუ ფრანგი არბიტრი თამაშის წინ შეგვხვდება და მსაჯობის ნიუანსებზე გაგვესაუბრება. მოგეხსენებათ ყველა ქვეყანაში არბიტრები მსაჯობის სტილით განსხვავდებიან. ვფიქრობ ფრანგი არბიტრი უწყვეტი, დინამიური თამაშის საშუალებას მოგვცემს.

ირაკლი ყიასაშვილი, *„ლელოს" კაპიტანი:*

- გუნდი გადამწყვეტი ბრძოლისთვის მზადაა. ვემზადებით ფინალისთვის, ჩემპიონობისთვის.

ჯაბა ბრეგვაძე, *„ყოჩების" კაპიტანი:*

- როგორც მორაგბეებს გვჩვევია, საბრძოლველად ყოველთვის მზად ვართ. ფინალი სეზონის ბოლო თამაშია და ამიტომ თავს არავინ დაზოგავს, ყველა ბოლომდე დაიხარჯება.

გია ნიჟარაძე, *რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი:*

- დარწმუნებული ვარ, „ლელოსა" და „ყოჩების" დაპირისპირება ვაჟკაცური, სანახაობრივად ლამაზი თამაში იქნება. გულშემატკივრებს მინდა მოვუწოდო, ყველამ ერთგულად, ომახიანად უქომაგოს თავიანთ რჩეულ გუნდებს, ოღონდ არ გადაცდნენ კორექტულობის ზღვარს. არ უნდა განმეორდეს შესარჩევ ფინალში მომხდარი ფაქტი, როცა გულშემატკივრების გარკვეულმა ნაწილმა რაგბის ქომაგისთვის შეუფერებელი აგრესია გამოავლინა.

ფინალისტების გარდა მინდა გამოვყო „ლიგამუსი", ყოფილი „ლოკომოტივი", რომელმაც თითქოს დათმო პოზიციები. ამ ლეგენდარულ გუნდში ახლა ბუნებრივი პროცესი, თაობათა ცვლა მიდის და იმედი მაქვს მომავალ ჩემპიონატში, ისევ ძველი სახელით, კიდევ იტყვის თავის სიტყვას.

მინდა აღვნიშნო ასევე „უნივერსიტეტის" ახალგაზრდული, ძალიან სიმპათიური გუნდი, რომელსაც თავისთვის დამახასიათებელი ხელწერა გააჩნია.

სამომავლოდ ძალიან სერიოზული გეგმები გვაქვს, რომლის განხორციელებაც ბევრადაა დამოკიდებული ახლახან შემუშავებული სახელმწიფო პროგრამის მიმდინარეობასა და ფინანსებზე. მიმდინარეობს მოლაპარაკება ბიზნესის წარმომადგენლებთან, რომლებიც რაგბის კავშირთან ერთად დაეხმარებიან კლუბებს ინფრასტრუქტურის შექმნაში, რაც პროფესიული ლიგის შექმნის საწინდარი გახდება.

მომავალი წელი ხარისხის ამაღლების წელი იქნება. მოვიწვევთ უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებს, რომლებიც სემინარებს და ტრენინგებს ჩაუტარებენ მწვრთნელებს, მსაჯებსა და მენეჯერებს. ავამოქმედებთ საკმაოდ ხისტ ლიცენზირების სისტემას. თუმცა, რაგბის კავშირი ყველაფერს იღონებს იმისთვისაც, რომ კლუბები მარტონი არ დარჩნენ თავიანთ პრობლემებთან.

მომავალ ოთხწლიან ციკლში, ცხადია, მიზანი ისევ მსოფლიო თასზე მოხვედრა იქნება. რამდენი გუნდი ითამაშებს ზელანდიაში, 2011 წელს, 30 ნოემბერს გადაწყდება. მიუხედავად იმისა, რას დაადგენს IRB, მცირე მსოფლიო თასი ანუ ჩელენჯ ტროფი 2010 წელს მაინც გაიმართება. იმედი გვაქვს, იმ დროისთვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სტადიონების მშენებლობა დასრულებული იქნება და გამორიცხული არაა, ამ შეჯიბრს საქართველომ უმასპინძლოს.

ბესიკ ჯანგავაძე

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუზეუმი

მიანიჭეთ სტატუსი

საქართველომ კარგა ხანია დაიმკვიდრა სპორტული ქვეყნის სახელი და ერის კულტურული მემკვიდრეობის საამაყო შემადგენელ ნაწილად იქცა ქართული სპორტის მიღწევები. ეს მემკვიდრეობა, მართალია, ათწლეულებს მოიცავს, მაგრამ ზურგს უმაგრებს მრავალსაუკუნოვანი ისტორიული წარსული. მუზეუმი კი სწორედ ის ადგილია, სადაც თავს იყრის ის უძვირფასესი ექსპონატები, ნივთები თუ დოკუმენტები, რომელიც იცავს მემკვიდრეობას, უფრთხილდება და ინახავს მას.

საქართველოს პორტის ისტორიის მუზეუმმა, რამდენიმე წლის წინათ, კიდევ ერთხელ გამოიცვალა ბინა და განთავსებულია დღესდღეობით საქართველოს სპორტისა და ახალგაზდობის საქმეთა დეპარტამენტის შენობის პირველ სართულზე, თვალსაჩინო ადგილზე.

მუზეუმიო, ვამბობთ, მაგრამ, როგორც გვითხრეს, ასეთი სტატუსი თურმე ამ ძვირფას „საგანძურთსაცავს", საერთოდ არ გააჩნია ოფიციალურად. თუ რატომ, მუზეუმის მუშაკებს უმძიმთ, ან არ სურთ, ან არ ძალუძთ პასუხის გაცემა კითხვაზე. არადა, ვინც სტატუსი უნდა მიანიჭოს, და შესაბამისად ხელფასიც განუსაზღვროს მუზეუმის მუშაკებს, სწორედ იმ სამინისტროს გადასაწყვეტია, ვინც ჩვენს ქვეყანაში სპორტულ სფეროს ხელმძღვანელობს. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროზე მოგახსენებთ.

ხსენებულ სამინისტროს ბევრი სიკეთე გაუკეთებია, რომლის დაუნახაობა ნამდვილად უმადურობა იქნებოდა. მით უფრო, საბაბი გვეძლევა ვთქვათ: ბატონებო, ჰქენით კიდევ ერთი სიკეთე - მიანიჭეთ მუზეუმის სტატუსი, აქამდე ისედაც საზოგადოებაში ასეთად ცნობილ ქართული სპორტის მემკვიდრეობის საცავს. ნუ გაგნვიჩენთ იმის შიშს, რომ ერთ მშვენიერ დღეს, მუზეუმის უსტატუსობა შეიძლება ბოროტად გამოიყენოს ვინმემ და ეს მემკვიდრეობა დაცველი აღმოჩნდეს.

ნყალბურთი

მწვრთნელებს ეოამზადებენ კიდეც

როგორც ამ დღეებში ვიტყობინებოდით, „ლაგუნა-ვერეს" საწყლოსნო კომპლექსს ახალი მფლობელი ჰყავს და ისახება, როგორც ამ სპორტული ბაზის, ისე სპორტის წყალთა სახეობის შემდგომი განვითარების სრულიად ახალი პერსპექტივა.

გუშინ, ვეტერანმა წყალბურთელებმა, სპორტული კლუბის ოფისში კონკრეტული წინადადებები წამოაყენეს სპორტის ამ სახეობის ტრადიციების აღდგენასთან დაკავშირებით.

„ახლა, მთავარია, სასწრაფოდ გაირკვეს კადრების საკითხი. უნდა დადგინდეს წყალბურთის რამდენი სპეციალისტი გვყავს დარამდენს სურს დაუბრუნდეს მწვრთნელობას. ამასთან, ჩვენმა წარმომადგენელმა უკვე მიიღო თანხმობა ი. ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის სპორტულ ცენტრ - „სპორტის აკადემიის" ხელმძღვანელობისგან, რომ მსურველები ცენტრში გაივლიან კვალიფიკაციის ამაღლების სამთვიან კურსებს, მიიღებენ სერთიფიკატს, რის შემდეგ იმუშავებენ ბავშვთა სპორტულ ჯგუფებებთან" - გვითხრა სპორტკლუბის თავმჯდომარემ, ვეტერანმა წყალბურთელმა **ოთარ მიმინოშვილმა.**

ცხენოსნობა

მსოფლიო თასის ეტაპი საქართველოში

გუშინ, ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციიდან (ფეი) სასიამოვნო ცნობა მივიღეთ. ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტი იტყობინება, რომ ფეი-ს 2998 წლის საერთშაორისო სპორტულ ასპარეზობათა კალენდარში მსოფლიო თასის ეტაპის ორ-ორი ტურნირია შეტანილი საქართველოსა და აზერბაიჯანში.

სამხრეთ კავკასიის ამ ორი ქვეყნის სპორტის ისტორიაში ეს არის პირველი შემთხვევა, როცა ასეთი მაღალი დონის შეჯიბრება იგეგმება. ლაპარაკია დაბრკოლებაა გადალახვაში ასპარზეობაზე, რომელიც ცხენოსნობის ერთ-ერთი მთავარი ოლიმპიური სახეობაა.

ბუნებრივია, მსოფლიო თასის ეტაპის მასპნინძლობისთვის მზადება და ასპარეზობის მაღალ დონეზე ჩატარება, ხელს შეუწყობს საქართველოში სპორტის ამ სახეობის შმდგომ განვითარებას და საერთაშორისო სტანდარტის ბაზის შექმნას, საითკენაც, ფაქტობრივად, უკვე გადაიდგა კიდეც პირველი ნაბიჯები!

თორნიკე გაჩეჩილაძე

ავტოსპორტი

რალი ერთი კვირით გადაიდო

დღეს თბილისსა და მის შემოგარენში უნდა გამართულიყო საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპი რალიში. როგორც საქართველოს ავტოსპორტის ფედერაციიდან გვაცნობეს, ტრასის ზოგიერთი მონაკვეთი დათოვლილია, რის გამოც შეჯიბრება ერთი კვირით გადაიდო.

ჰაღათბურთი

საქართველოში ოთხდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა ამერიკელი სკაუტი ლინზი დევისი, რომელიც ჯორჯიის კოლეჯის ერთ-ერთი მწვრთნელია და აშშ-ს სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრების სელექციაშიც აქტიურადაა ჩართული.
მოცალეობის ჟამს იგი მსოფლიოს მიყრუებულ საკალათბურთო კუთხეებში მოგზაურობს და კოლეჯების ლიგისთვის ნიჭიერ კალათბურთელებს არჩევს.
ახლახან მისი ორგანიზაციის, „ჯორჯია ელიტ მეგეზინის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ჩვენთვის საინტერესო ინფორმაცია: „ჯორჯიის კოლეჯში ორი ქართველი ახალგაზრდა კალათბურთელი ჩაირიცხა - შალვა თევდორაძე და ვახტანგ კვარაცხელია. ისინი საქართველოს რესპუბლიკიდან არიან. ორი მოთამაშე ამერიკაში ჩამოიყვანა ლინზი დევისმა, რომელიც აქტიურად მუშაობს საზღვარგარეთ და ბოლო ორ წელიწადში კოლეჯების ლიგაში 27 პერსპექტიული კალათბურთელი ჩამოიყვანა."
მოდით თავად ლინზის მოვუსმინოთ და შევიტყობთ საქართველოსაც მიყრუებულ საკალათბურთო ქვეყნად მიიჩნევს, თუ არა.

ინტერვიუ ლინზი დევისთან

ქართველები ნიჭიერები და თან მაღლები არიან

- საუბარი პირველი შთაბეჭდილებით დავიწყოთ.

- პირფერობით არ ვიტყვი, თბილისი ძალიან მომეწონა და თუ მთლიანად საქართველო დედაქალაქივით ლამაზია, შესაფური ქვეყანა გქონიათ. ეს არც უნდა გაგვიკვირდეს, რადგან რელიგიური ხალხი ხართ, ხოლო რელიგიისადმი პატივისცემა ნებისმიერი ადამიანის სიკეთეზე მეტყველებს. გრანდიოზული ეკლესიები გაქვთ...

- ქართულ კალათბურთზე რას იტყვით?

- ჯერ ბავშვთა კალათბურთზე მოგახსენებთ. აშკარად გაკვირვებული ვარ, ძალიან ბევრი ნიჭიერი მოთამაშე გყავთ. როგორც ჩანს საბავშვო გუნდის მწვრთნელები კარგად მუშაობენ. ძლიერი ტანდაბალი კალათბურთელები მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში არიან, საქართველი კი ნიჭიერი მაღლებითაც გამოირჩევა.

- ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლა ვინ გადაგაწყვეტინათ?

- „კომუნითი ქრისტიანის" სკოლაში მწვრთნელად რომ ვმუშაობდი, მოსწავლედ ლიტველი პეტრას ბოლოჩკა მყავდა. საქართველოს შესახებ ბევრი რამე სწორედ მან მითხრა და თქვენი ქვეყნით მას შემდეგ დავინტერესდი. მაშინ საიტ „ევრობასკეტზე" ქართველი კალაბურთელების მონაცემებს გავეცანი, 222 სმ. სიმაღლის მოთამაშე აღმოვაჩინე და მტკიცედ გადავწყვიტე თბილისში ჩამოსვლა. სხვათა შორის, ბოლოჩკა ახლა „პენსაკოლას" კოლეჯში ქართველ ლაშა ფარღლავასთან ერთად თამაშობს...

- თქვენი ვიზიტის მთავარი მიზეზი რა არის?

- ამერიკის კოლეჯების ლიგისთვის ნიჭიერ ქართველებს ვარჩევ. მართალია, აქ მწვრთნელები ურიგოდ არ მუშაობენ მაგრამ ვხედავ რომ ჩემს სამშობლოსთან შედარებით პირობები მოკრძალებულია. ამიტომ ახალგაზრდა მოთამაშეების აშშ-ში ვარჯიში პირველ რიგში მათთვისაა სასარგებლო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ პირობებია უკეთესი, მეორე - კალათბურთის პარალელურად განათლებასაც მიიღებენ. ამერიკაში თუ კარგად არ სწავლობ, კალათბურთს არავინ გათამაშებს. და მესამე - აშშ-ში ცხოვრებით ინგლისური ენის კარგად შესწავლაა შესაძლებელი და კოლეჯის დამთავრების შემდეგ თუ კალათბურთელი არ გამოვა, სათანადო დიპლომი და განათლება შეგრჩება. ხოლო, ვინც მაღალი დონის ოსტატად ჩამოყალიბდება, მისთვის ახლოსაა NBA, ვინც მწვერვალამდე ვერ მიაღწევს, ევროპის კლუბში მოწყობა არ გაუჭირდება.

- ერთი მხრივ გასაგებია, მეორე მხრივ გაურკვეველია, რაში უნდა აწყობდეთ ამერიკელებს უცხოელების გამოწვრთნა.

- ჩემს მაგალითზე გეტყვით: მირჩევნია გუნდში ევროპელი კალათბურთელები მყავდეს, ვიდრე ამერიკელები.

- ?!

- ჩემი სიტყვები არ გაგიკვირდებათ თუ დავამატებ, რომ ევროპელები ამერიკელებისგან მენტალიტეტით ძალიან ანსხვავდებიან. მაშინ, როცა ადგილობრივი ატყობს, რომ სხვაზე უკეთესია, თავს ზემოთ სწევს და ვარჯიშებზეც ზარმაცობს. ევროპელთა უმეტესობა კი პირიქითაა - შეიძლება მონაცემებით ზემოთნახსენებ ამერიკელს ვერ სჯობდეს, მაგრამ შრომისმოყვარეობით აღემატება და რამდენიმე წელიწადში ადგილობრივს გაასწრებს კიდეც. მწვრთნელებისთვის გაცილებით იოლია უცხოელებთან მუშაობა, ვიდრე ამერიკელებთან. ამიტომ საზღვარგარეთიდან ჩემს მიერ ჩაყვანილი ერთი კალათბურთელიც არ დარჩენილა გუნდის გარეშე.

- საქართველოში ვინ მოგეწონათ?

- სხვადასხვა ასაკის 12 მოთამაშე მომეწონა და თუ მათი სურვილი იქნება ამერიკულ სკოლებსა და კოლეჯებში მოვაწყობ. მათ გვარებს ვერ დავასახელებ, რადგან ზეპირად არც ვიცი და სჯობს საქართველომ მას შემდეგ გაიცნოს, რაც კოლეჯებში ითამაშებენ.

- ბოლოს NBA-ში მოღვაწე ჩვენიანებზე გკითხავთ.

- ზაზა ფაჩულია NBA-ში თამაშობს და ამით ყველაფერია ნათქვამი. ნაციონალურ ასოციაციაში მოხვედრის სურვილი მილიონობით სპორტსმენს აქვს, მაგრამ NBA-ში მხოლოდ რჩეულები თამაშობენ. ეს ლატარიას ჰგავს - შეიძლება მთელი სიცოცხლე თამაშობდე, მაგრამ ცენტიც ვერ მოიგო, ფაჩულიამ კი ჯეკპოტი ახალგაზრდულ ასაკში მოხსნა. მის გარდა, NBA-ში კიდევ ორი ქართველი თამაშობდა. ასოციაციაში 4 მილიონიანი საქართველოდან ერთბაშად სამი კალათბურთელის გამოჩენა ძალიან ბევრია. ეს პირდაპირ მიუთითებს იმაზე, თუ როგორ უყვართ კალათბურთი საქართველოში.

ვაჟა სიმონიშვილი

ჩოგბურთი

მანანა შაფაქიძე

პირველ ტიტულთან ახლოს

ქართველი ჩოგბურთელი **ნოდარ ითონიშვილი** 20 წლისა ბარსელონას ტურნირის განმავლობაში გახდა. ნოდარმა წარმატებით იასპარეზა ბარსელონაში, ერთეულთა თანრიგში მერვედფინალამდე გააღწია, წყვილებში კი უკვე ფინალშია. ითონიშვილი მსროკელ **იუნეს რაშიდის** შეუწყვილდა და მასთან ერთად რამდენიმე წრე გაიარა. გუშინ მათ ნახევარფინალური ორთაბრძოლაც მოუგეს - ესპანური დუეტი (**დიასი, პოჩი**) დაამარცხეს - 3:6, 6:2, 10:6. ითონიშვილს და რაშიდის ტურნირის ფინალში მე-4 ნომრად განთესილი საერთაშორისო წყვილი (არგენტინელი **ალვარესი** და ბერძენი **იაკუპოვიჩი**) ელით. ქალთა ტურნირში **მანანა შაფაქიძე** მეოთხედფინალში იტალიელ **ალისე მორონისთან** დამარცხდა - 6:7 (4), 4:6 და ტურნირს გამოეთიშა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჭიდაობა

საქართველოს ჩემპიონატი. VI ტური

ერთგზის ჩემპიონი შვიდგზისას გაუსწორდა

23 ნოემბერი, რუსთავი

აზოტი-ვითა 81:62

14:17, 30:14, 17:12, 20:19

აზოტი: **გამყრელიძე (6ქ), ბაბიაშვილი (3ქ, 7მ), სტეფანოვი (9ქ, 11მ, 3პ), ბოისა (2ქ), დიდია (13ქ, 4პ), ლეჟავა (13ქ), ცეკვავა (16ქ, 5მ), გოგობერიშვილი (3ქ, 3პ), ტუჯანი (2ქ, 5მ), ლიპარტელიანი**

ვითა: **ძიძიგური, ნ. ნოზაძე, ბეჟანიშვილი (4ქ, 9მ, 3პ), მ. ბერიშვილი (4ქ), მარხვაშვილი (7ქ), ბ. ბერიშვილი (5ქ, 8მ), ლ. ნოზაზე, მარკოიშვილი (12ქ), ბერძენიშვილი (14ქ), ნივნივაძე (10ქ, 3პ, 3ჩ), გვიმრაძე (6ქ)**

მსაჯები: **მ. ბერეკაშვილი, მ. ანდღულაძე**

გუშინ, საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრე რუსთავში გაიხსნა. მოქმედმა ჩემპიონმა, „აზოტმა“ ქვეყნის შვიდგზის ოქროსმედალოსანს „ვითას“ უმასპინძლა და 19 ქულის სხვაობით დაამარცხა. ვითელებმა მასპინძლებს პირველ ტაიმში გამართული კალათბურთი დაუპირისპირეს და საწყისი მეოთხედი 17:14 მოიგეს. ამ პერიოდში თბილისელთა დაცვას მხოლოდ ბესიკ ლეჟავა უმკლავდებოდა და სწორედ მან აიყოლია თანაგუნდელები მეორე ათწუთეულში. მეთერთმეტე წუთიდან მაღალ ტემპში ათამაშებული „აზოტის“ შესაჩერებლად „ვითას“ ძალა აღარ ეყო და 62:81 დამარცხდა. რუსთაველები კი ჯერაც დაუმარცხებლად ლიდერობენ სატურნირო ცხრილს.

ვახტანგ ტყეშელაშვილი

	თ	მ	ნ	ქ
1. აზოტი	5	5	0	10
2. ვითა	5	3	2	8
3. თსუ	4	2	2	6
4. მაკაბი	4	1	3	5
5. ავიამშენი	4	1	3	5
6. დინამო	4	1	3	5

დავით უგრეხელიძე

ლეგიონერი

უგრეხელიძის სადებიუტო ოთხიანები

ბოსნიის საკალათბურთო ჩემპიონატში **დავით უგრეხელიძის** დებიუტი შედგა. ქართველი ცენტრფორვარდი, ბოსნიურ „ბორაჩ ნექტარში“ სეზონის დასაწყისში გადაბარგდა რუსთავის „აზოტიდან“, მაგრამ მუხლის ტრავმის გამო, იძულებით უქმობდა. ამიტომაც, მისი ბოსნიური დებიუტი მხოლოდ მეხუთე ტურში შედგა - „იგოკეა პარტიზანთან“ მატჩში. გვარიანად დაძაბული და ქულაუხვი მატჩი „პარტიზანების“ გამარჯვებით დასრულდა - 110:108. მწვრთნელებმა უგრეხელიძეს 7 წუთით მისცეს თავის გამოჩენის შანსი და დათო 4 ქულას დასჯერდა. მან სამიდან 2 ორქულიანი ჩააგდო.

„ბორაჩ ნექტარმა“ მეექვსე ტურშიც წააგო - ამჯერად, „გრუდესთან“ (77:84). უგრეხელიძემ 19 წუთი ითამაშა და ქულების მხრივ, წინა შეხვედრის ანალოგიური მაჩვენებელი ჰქონდა, ანუ ისევ სამიდან 2 ორქულიანი ჩაადგო. რაც შეეხება სხვა კომპონენტებს, ჩვენებურმა 2 შედეგიანი გადაცემა და 1 მოხსნაც მიითვალა.

ექვსი ტურის შემდეგ, „ბორაჩ ნექტარი“ სატურნირო ცხრილის მეოთხე საფეხურზე იმყოფება 3 მოგებით.

კობა ხატისაშვილი

ჭიდაობა

მსოფლიოს ასაკობრივი ჩემპიონატები

ყაიმები მოგვიმრავლდა

მსოფლიოს ასაკობრივ ჩემპიონატში მონაწილეებმა ეკვატორი გადალახეს - მეექვსე ტური ითამაშეს და დებულებით გათვალისწინებული ერთდღიანი შესვენებაც აიღეს. მეშვიდე ტური შაბათს გაიმართება და აქედან უფრო დაიძაბება სიტუაცია: თუ ვინმეს ჩავარდნა ჰქონდა, ჯერ კიდევ აქვს დაკარგულის ანაზღაურების საშუალება, ვისაც საკმაოდ აქვს მარაგი, მისი განმტკიცება ესაჭიროება და ამისთვის ძალიან ბევრი ბრძოლა მოუწევს - მოცილე უამრავია...

ჩვენ ჩვენებურთა ამბები მოვიკითხოთ, სადაც ისეთებიც არიან, ვინც ჩემპიონობისთვის იბრძვის, აუტსაიდერებიც გამოგვერევიან და ისეთთა ნაკლებობსაც არ ვუჩივით, ვისგანაც მეტს მოველოდით და ქულათა სიმცირის გამო ლიდერებს საკმაოდ ჩამორჩნენ.

საერთო სურათით თუ ვიმსჯელებთ, მეექვსე ტურში ყაიმებმა იმრავლა: 34 პარტიაში ათჯერ დაზავდნენ ქართველები; 9-ში წააგეს, ხოლო 15-ში გამარჯვებულები გამოვიდნენ. ასეთმა შედეგმა ქართველთა დიდი უმეტესობის დაწინაურება გამოიწვია ცხრილში. ქვემოთ მონაცემებს შემოგთავაზებთ და მკითხველს გუშინდელ პოზიციებთან შედარების საშუალება ექნება.

სასიამოვნოა, რომ თავის ასაკში პირველობა შეინარჩუნა **ნაზი პაიკიძემ**. მართალია მან ყაიმით ითამაშა, მაგრამ ვერც მდევრებმა იმარჯვეს და ნახევარქულიანი ჰანდიკაპი შენარჩუნებულ იქნა. აქ სხვა ფავორიტებიც გვყავს: **მარიამ დანელია, მერი არაბიძე** - ისინი შესაბამისად მეოთხე და მეთერთმეტე ადგილზე იმყოფებიან. პირველობა შევინარჩუნეთ 16 წლამდელ გოგონებშიც, თუმცა შეიცვალა ლიდერის ვინაობა - **ქეთი წაწალაშვილის** ადგილი **თინათინ ბერიძემ** დაიკავა. ქეთიმ შავებით ქულა გაიყო ვიეტნამელ ჰონგ ან ჰუსთან, თინათინმა კი ამერიკელ ალისა მელეხინას მოუგო შავებით და 5,5 ქულა გაუხდა. სიმართლე ითქვას, ბერიძისგან ასეთ თამაშს ნამდვილად არ ველოდით და თუკი ჟინი არ გაუნელდება და ძალებიც ეყოფა ფინიშამდე, ჩემპიონობასაც შეიძლება გამოკრას ხელი.

მოიგო 16 წლამდელებში **ლევან ბრეგაძემ** და კიდევ ერთი საფეხურით დაწინაურდა. ასევე იმარჯვა 12 წლამდელებში ჩვენმა კიდევ ერთმა იმედმა **ირაკლი ბერაძემ** და 5 ქულით მეშვიდე პოზიციაზეა. ყოველი გამარჯვება მას ძლიერ დააახლოებს ლიდერებთან.

როგორც გითხარით, საერთო ჯამში ჩვენთვის მეექვსე ტურმა წარმატებით ჩაიარა და ვინ რომელ პოზიციაზეა, ცხრილში ამოიკითხავთ.

8 წლამდელები: 69. აღექსანდრე ფანასენკო (3 ქულა); 118. ნიკოლოზ ჭანტურია (0,5); 15. ნინო ჯალაღონია (4); **10 წლიანები:** 13. ნიკოლოზ ქუმსიაშვილი (4,5); 41. ნოე თუთისანი (4); 89. მამუკა ანთაძე (3); 48. მარიამ ჭოლაძე (3); 78. ნინო ხომერიკი (2); **12 წლიანები:** 7. ირაკლი ბერაძე (5); 70. აკაკი რუხაძე (3); 13. ანა კუჭავა (4,5); 21. ნანი უნაფქოშვილი (4); 57. ანა შამთავა (3); 79. ნატო იმნაძე (2,5); **14 წლიანები:** 26. ზურაბ ჯავახაძე (4); 31. გიორგი ნიკოლაშვილი (4); 78. გიორგი ცირეკიძე (3); 1. ნაზი პაიკიძე (5,5); 4. მარიამ დანელია (5); 11. მერი არაბიძე (4,5); 14. ნათია ჯალაბაძე (4,5); 19. ლელა უგულავა (4); **16 წლიანები:** 4. ლევან ბრეგაძე (5); 17. დავით ბენიძე (4); 56. დავით ლომსაძე (3); 1. თინათინ ბერიძე (5,5); 3. ქეთი წაწალაშვილი (5); 12. სოფიკო გურამიშვილი (4,5); 28. სალომე ბაჟომია (3,5); 43. სალომე სირაძე (3,5); **18. წლიანები:** 14. გიორგი მარგველაშვილი (4); 8. მირანდა მიქაძე (4); 22. მერი ჟორჟოლიანი (4); 25. ქრისტინე მჟავია (3,5).

ზვიად შათირიშვილი

სუმო

კოკაი უმაღლესში დარჩა

კიუშუს ბაშო

(ნოემბრის სუპერტურნირი)

11-25 ნოემბერი, ფუკუოკა (იაპონია)

XIII დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი-ტოჩინონადა 1:0 (უვატედაშინაგე), ჰაკუჰო-კაიო 1:0, ჩიოტაიკაი-ბარუტო 1:0, ამინიში-კოტომიცუკი 1:0, კოკუტენჰო-ასასეკირი 1:0, ამა-ტოკიტენკუ 1:0, კოტოშოგიკუ-ტოიონოშიმა 1:0, ჰომაშო-ტამანოშიმა 1:0, მიაბიამა-კასუგაო 1:0, კისენოსატო-ფუტენო 1:0, დეჯიმა-ვაკაკირინი 1:0, კაკურიუ-ტაკამისაკარი 1:0, ტაკეკაძე-ჰაკუროძანი 1:0, როჰო-გოეიდო 1:0, ჰოკუტორიკი-ტოიოჰიბიკი 1:0, ვაკანოსატო-კასუგანიშიკი 1:0, ვაკანოჰო-ტოსანოუმი 1:0.

სატურნირო მდგომარეობა. 11-2: ჰაკუჰო (იოკოძუნა), ჩიოტაიკაი (ოძეკი); 10-3: ბარუტო (მაეგაშირა 16); 9-4: კოტომიცუკი (ოძეკი), დეჯიმა (მ 2), ვაკაკირინი (მ 15); .. 7-6: კოკაი (მ 13).

XIV დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი-ჰოკუტორიკი, ჰაკუჰო-ჩიოტაიკაი, კოტომიცუკი-კაიო, ასასეკირიუ-ტაკეკაძე, ამინიში-კოკუტენჰო, კოტოშოგიკუ-გოეიდო, ამა-ბარუტო, მიაბიამა-კისენოსატო, ჰომაშო-ჰაკუროძანი, დეჯიმა-ტოიოჰიბიკი, ტოკიტენკუ-ვაკაკირინი, ტოჩინონადა-ტოიონოშიმა, როჰო-ვაკანოსატო, ვაკანოჰო-იოშიკაძე.

ᲰᲝᲙᲔᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲛᲐ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲕᲐᲚᲐ

ᲒᲚᲔᲜ ᲯᲔᲜᲚᲝᲜᲘ ᲰᲝᲙᲔᲘᲡ ეროვნულ ლიგაში მეორე მწვრთნელი აღმოჩნდა, ვისაც წლევანდელი რეგულარულის მსვლელობისას მთავარი მწვრთნელის პოსტი დაატოვებინეს. ჰენლონი „ვაშინგტონ კეპიტალზს“ ავარჯიშებდა, რომელსაც წელს, ბოლო 26 წლის განმავლობაში ყველაზე სუსტი სტარტი ჰქონდა.

წელს, აწ განთავისუფლებულმა მწვრთნელმა „ვაშინგტონთან“ ერთად მეოთხე საზონი დაიწყო, პირველ სამ ტურში სამ გამარჯვებას მიაღწია, მაგრამ შემდეგ, „კეპიტალზის“ საქმეები აირია. „ატლანტასთან“ ბოლო ტურში „ვაშინგტონმა“ ზედიზედ მეხუთედ წააგო, ხოლო ბოლო 9 ტურში, გუნდს მხოლოდ ერთი მოგება აქვს.

კლუბის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, „ვაშინგტონს“ დროებით **ბრიუს ბოდრო** გაწვრთნის, რომელიც „კეპიტალზის“ ფარმ-კლუბის დამრიგებელია.

ჰენლონის გადაყენებაზე ხმები დიდი ხანია დადიოდა. მის შემცვლელად **ბობ ჰარტლი** მოიაზრება, რომელიც ასევე ნელს, „ატლანტას“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლეს.

ᲤᲔᲓᲝᲠᲣᲙᲘ ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐᲛ ᲐᲘᲧᲕᲐᲜᲐ

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, „დალას სტარზმა“ შემადგენლობის გაახალგაზრდავებაზე აიღო აქცენტი და ტრანსფერზე დააყენა ფორვარდი **ტოდ ფედორუკი.**

ვეტერანი თავდამსხმელი დიდხანს არ დარჩენილა უმუშევარი. „მინესოტა უაილდი“ დათანხმდა ამ სეზონში ფედორუკისთვის კონტრაქტით გათვალისწინებული 875 ათასის გადახდას, რის შემდეგაც, მომავალ ზაფხულს, ჰოკეისტი თავისუფალი აგენტი გახდება.

ფედორუკმა ამ სეზონში 11 მატჩი ჩაატარა და მხოლოდ 2 საგოლე პასი ჩაიწერა აქტივში.

ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲛᲐ ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐ ᲓᲐᲙᲐᲠ�გᲐ

79 ᲬᲚᲘᲡ ასაკში გარდაიცვალა 40-50-იან წლებში „მონრეალ კანადიენსის“ ერთ-ერთი ვარსკვლავი **ტომ ჯონსონი.** მისი სიკვდილის მიზეზი ცნობილი არ არის.

ჯონსონმა მოთამაშის რანგში ექვსჯერ მოიპოვა სტენლის თასი, ხოლო 1959 წელს, სეზონის საუკეთესო მოთამაშე გახდა. 1965 წელს, ფორვარდმა ფეხის ტრავმის გამო ვადაზე ადრე შეწყვიტა კარიერა.

ჯონსონმა მწვრთნელის რანგშიც დიდ წარმატებებს მიაღწია. სწორედ მისი ხელმძღვანელობით მოიგო „ბოსტონ ბრუინზმა“ 1972 წელს სტენლის თასი.

ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ 1

ᲠᲝᲡᲑᲔᲠᲒᲘ ᲣᲘᲚᲘᲐᲛᲡᲨᲘ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ

